სამშობლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების
ყოველთვიური ორგანო

"LA PATRIE"

L'organe de la démocratie nationale géorgienne

პარიზი. სექტემბერ-ოქტომბერი 1929 წ.

№ 3-4

შინაარსი:

ბოლშევიკური აღსასრული . . . . . .
კავკასიის კონფედერაცია . . . . . დ. ვაჩნაძე
ქართული სოციალ-დემოკრატიის კრიზისი . შ. ამირეჯიბი
ჩვენი ბრძოლის უმთავრესი საფუძველი . . ი. ხანანაშვილი
ახალი თაობის დანიშნულება . . . . . ელ. პატარიძე
ტაქტიკა და ორგანიზაცია (მოხსენება) . . . ალ. ასათიანის
პარიზ.ის ორგანიზაციის დადგენილება.
საბოლოო განმარტება—ერ.-დემ. პარტ. საზ-
ღვარგარეთის ცენტრალურ ბიუროსაგან.
საბჭოთა საქართველოში.
ქართულ ემიგრაციაში.

გამომცემლობა „საქართველო" ვალანტინიე.

საქართველო

ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო.

L'organe de la démocratie nationale géorgienne "La Patrie"

პარიზი. სექტემბერ-ოქტომბერი 1929 წ. | Paris. Septembre-Octobre 1929

N 3-4

სექტემბერ-ოქტომბერი 1929 წ

ბოლშევიკური აღსასრული.

— კარგი რამ გჯირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო, ამბობს შოთა რუსთაველი. ჩვენი უკვდავი პოეტის ამ სიტყვების ბოლშევიკურ სანაგვეზედ გატანა, კაცმა რომა სთქვას, აფსუსიც არის, მაგრამ ენაზედ სწორედ-ეს სიტყვები მოდის, რადგანაც, რაც ამ მოკლე ხანში ბოლშევიკებს ევროპაში საქმე დაემართათ, ყოველს საკვირველზედ ავი და ყოველს ავზედ საკვირველი აღმოჩნდა.

ოქტომბრის პირველს რიცხვებში პარიზის პოლიციაში გამოცხადდა ვიღაცა ცხვირ-პირ. დაკაწრული და საკინძ ჩამოხეული კაცი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთის ელჩის მოადგილე და რუსეთის საელჩოს პირველი რწმუნებული ვარ, ჩემი ოლშვილი რუსეთის საელჩომ ტყვედ გამოაცხადა და მე თითონაც სიკვდილს მარტოდენ მიტომ გადურჩი, რომ საელჩოდან გამოვიქეცი. ასეთი განცხადება უცნობისა და საეჭვო შეხედულობის კაცისა, მსოფლიო დიპლომატიის ცენტრში, თუნდაც ისეთის საელჩოს შესახებ, როგორიც სახელ-წამხდარი რუსეთის საელჩო არის, პოლიციას შანტაჟად და წარმოუდგენელად მოეჩვენა. მაგრამ ყოველივე ამან, მართლა ნამდვილი ამბავის ხასიათი მიიღო, როდესაც მომჩივანმა პოლიციას თავისი დიპლომატიური პასპორტი წარუდგინა და ცხვირ-პირ დაკაწრული და საკინძ ჩამოხეული მაწანწალა მართლა რუსეთის ელჩის მოადგილე და საელჩოს პირველი წრმუნებული ბ. ბესედოვსკი გამოდგა. ამ ისტორიის შემდეგი განვითარება უფრო საგულისხმიერო შეიქმნა და უმაგალითო დიპლომატიურის ანალებისათვის, რადგანაც პოლიციისათვის აშკარა გახდა, რომ ბ. ბესედოვსკი მართლა რუსეთის ელჩის მოადგილე იყო და რადგანაც საელჩოს შინაურ საქმეებში პოლიციის ჩარევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონ ელჩის მოადგილე მოითხოვდა, პოლიციია იძულებული გახდა ბ. ბესედოვსკისთან ერთად რუსის საელჩოში შესულიყო, მისი ცოლშვილი საელჩოს ტყვეობიდან ეხსნა და რუსეთის ელჩის მოადგილე თავის მფარველობაში აეყვანა. ვისგან?

საკითხიც სწორედ ეს არის! იმ დროს როდესაც საფრანგეთში მყოფი რუსეთის ელჩი ლონდონში იყო და მაკდონალდის მთავრობასთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებას სცდილობდა, მისი მოადგილე პარიზში, თავის საკუთარ საელჩოს თავზედ პოლიციას ასხავს, თავისი ცოლშვილი ტყვეობიდან გამოჰყავს და თითონაც საფრანგეთის პოლიციას ნებდება, რომ საელჩოს სარდაფებში არ მოჰკლან. რომელ სახელმწიფოს შეუძლიან ასეთი რამე შეემთხვას და რომელ დიპლომატიურ წარმომადგენელს შეიძლება ასეთი საქმე დაემართოს, თუ არა ბოლშევიკურ სახელმწიფოს და ბოლშევიკურ დიპლომატიას?! ის რაც პარიზის რუსულ საელჩოში მოხდა, ბ. ბესედოვსკიმ თითონ უამბო ჟურნალისტებს და ერთად ერთი თავშესაქცევარი ამბავი მსოფლიოში დღეს, ეს უმაგალითო ბოლშევიკური სკანდალია.

პარიზის საელჩოში მომხდარი ამბავი არაფერს მოულოდნელს და არა ბოლშევიკურს არ წარმოადგენს. ბ. ბესედოვსკი ოპოზიციას ეკუთვნოდა და წინააღმდეგი ყოფილა იმ პოლიტიკისა, რომელსაც დღევანდელი მოსკოვი მისდევს, ამის გამო ბესედოვსკის მოსკოვში წასვლა მოსთხოვეს. რადგანაც ბესედოვსკიმ კარგად იცოდა რა მოჰყვებოდა მოსკოვში გამგზავრებას—მოსკოვში წასვლაზედ უარი განაცხადა. მაშინ, ამ საქმის გამო მოსკოვ დგან საგანგებოთ ჩამოსულმა ჩეკისტმა რეიზენმანმა ბესედოვსკი საელჩოში დაატყვევა და მის ცოლშვილსაც ,,სეკვესტრი'' დაადო. როგორც თითონ ბესედოვსკი ირწმუნება, საქმემ ისეთი ხასიათი მიიღო, როცა ელჩის მოადგილე ან უნდა საელჩოს სარდაფებში მოეკლათ, ან ავადმყოფად გამოეცხადებინათ და იაგიქეთში გამოემწყვდიათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხმები უწინაც დადიოდა, რომ ბოლშევიკურ საელჩოებში ადამიანები სადღაც ქრებიანო, ბესედოვსკის განცხადებაში დაუჯერებელი არაფერია. ბოლშევიკების ეს ბანდიტური მოღვაწეობა აქამდე გამომქღავნებული არა ყოფილა. მაგრამ ეს აიხსნება იმითი, რომ ამ ავაზაკურ საქმეს ბოლშევიკები დღემდე ,,სუფთად'' აკეთებდნენ. სკანდალურ ხასიათს პარიზის ამბავს სწორედ ის გარემოება აძლევს, რომ ამ ხელად ბოლშევიკებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. პარიზის საელჩოს ჩეკისტებს რომ ასეთი ,,აფუმე'' გამოუვიდათ და ბ. ბესედოვსკი ხელიდგან წაუვიდათ, ამისი უმადურნი თავისივე დიპლომატიისა უნდა იყვნენ, ვინაიდგან ბესედოვსკი მარტო ,,კარგი'' ოპოზიციონერი არა ყოფილა და გალავნების აღებაც ისე სცოდნია, როგორც კარგი დოღის ცხენს. დღეს საბჭოთა დიპლომატი სამშვიდობოში იმყოფება, ყოველ დღე ჟურნალისტებთან საუბრობს, რუსის საელჩოს მკვლელობის განზრახვაში ბრალსა სდებს და მისი ბნელი საქმენი დღის სინათლეზედ გამოაქვს.

არც ერთს ამბავს, არც იმას რომ საბჭოთა დიპლომატებს ევროპაში დღე მუდამ სცემდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ, არც იმას, რომ კრასინს ზღვაშიაც კი ჩასძახოდნენ, ბანაობის დროს,—„ძირს კრასინი, გაუმარჯოს საქართველოს!", არც ევროპის წინააღმდეგ მიმართულს, მაგრამ დროზედ გამომქღავნებულს ათას მახინაციას, არც მსოფლიო რევოლუციის „რეპეტიციის" საქვეყნოდ გაბახებას, რომლის მოწამე, წარსულ აგვისტოს თვეში, მთელი ევროპა იყო, და არც ისეთ თვალსაჩინო საერთაშორისო მარცხს, როგორიც ჩინეთის რკინის გზის დაკარგვაა, არ დაუცია განათლებულ მსოფლიოს თვალში საბჭოთა რუსეთის პრესტიჟი, როგორც იმ ამბავმა, რომელიც საბჭოთა დიპლომატმა თავისი ენით აუწყა ქვეყანას. ყველაზედ ტრაღიკული ამ ამბავში ის არის, რომ ბოლშევიკებს ისიც კი არ შეუძლიანთ, რომ როგორც მუდამ ეს სკანდალი ან „მსოფლიო ბურჟუაზიის" ხრიკებს გადააბრალონ, ან „მსოფლიო იმპერიალიზმის" მზაკვრობას, ამისთანა წმინდა ბოლშევიკური საქმე იქნება მეორე არც კი გამომქღავნებულა. ამ ისტორიაში—ქვემდებარეც და შემასმენელიც, მომქმედნი პირნიც და ადგილის გარემოებაც ბოლშევიკური და უაღრესად ბოლშევიკურია. ბოლშევიკია ბ. ბესედოვსკი, ბოლშევიკია ეს ვიღაცა როზენმანი, რომლის ასავალ-დასავალი საფრანგეთის პოლიციამ დღემდე არ იცის და დასასრულ ბოლშევიკურია თვით საელჩოც, სადაც ეს ამბავი დატრიალდა, ვის შესჩივლებ, ვის ეტყვი—დახე, რა მიყვესო!

პარიზის საელჩოს ცდა—მთელ ამ ამბავს ისეთი ხასიათი მისცეს, თითქოს ბესედოვსკის საელჩოს ფულები შეეჭამოს და იმიტომ უპირებდნენ მოსკოვში ძალით გაგზავნას, ან ჩეკისტმა როზენმანმა ამიტომ დაატყვევა ბოლშვილით საელჩოში, ბოლშევიკების სრული მორალური უბადრუკობის მაჩვენებელია და საქმის ბუნებას იოტის ოდენადაც ვერა სცვლის. გამოდის, თითქოს სახელმწიფოს მორალისა და პრესტიჟისათვის ის კი ასატანი იყოს, რომ თავის დიპლომატიურ წარმომადგენელებად ევროპაში, ბოლშევიკები ქურდებსა და ყაჩაღებს ნიშნავენ. ვიღა არის მაშინ ბოლშევიკურ საელჩოში რიგიანი და პატიოსანი, თუ საელჩო თავის პირველ რწმუნებულს ქურდს ეძახის, პირველი რწმუნებული კი მთელ საელჩოს ბანდიტების ბუდეს და კაცის მკვლელებს? საელჩოს „კომუნიკე" ცეცხლზედ ნავთის დასხმაა. განათლებულ კაცობრიობის წინაშე ბოლშევიზმი ასე საკინძ ჩამოხსნილი და გაღეღილი არასოდეს არა მდგარა!

ბოლშევიზმმა კისერი მოიტეხა არა დიდი პრობლემებისა და მათი განხორციელების სიძნელის წინაშე—სოციალიზმი რომ განუხორციელებელია, ეს მართალი ამბავი მარტო ბოლშევიკებმა არ იციან—არამედ სრულიად „პატარა" და წმინდა ბოლშევიკურ საქმეზედ! განა რა დიდი საქმეა ვიღაცა ბესედოვსკის ან მოსოვში გაწვევა, ან ციმბირში გადასახლება, ან საელჩოს სარდაფში მოკლა, თუნდაც აქ, პარიზში, მსოფლიოს ცენტრში და უგანათლებულეს ქალაქში?! რამდენი გადაუსახლებიათ და მოუკლავთ ბოლშევიკებს და ისიც არა ისეთი ვიგინდარა და მათსავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკი—როგორიც ბ. ბესედოვსკია, არამედ პატიოსანი ხალხი (მოიგონეთ დახვრეტილები საქართველოში) რამდენი დაიღვარა სრემლი, რამდენი დაითუთქა გული, რამდენი იყო პროტესტი, მაგრამ „გამარჯვებული" ბოლშევიზმი მაინც თავის „მიღწევებისკენ" მიიჩქაროდა და ყველაფერი ერთს დღეში გამოაშკარავდა, როცა ეს აღვ რ-აღსნილი მისწრაფება კისერს იმ თავის უბრალო თვისებაზედ იტეხს, რომელსაც მოკლედ ბანდიტიზმი ჰქვიან. ბ ოლშევიზმს დღეს ეს ბანდიტიზი ღუპავს. სადღა არის მათი „მონოლიტური" კომუნისტური პარტია? როდესაც ბოლშევიკებმა ჩვენები ხვრიტეს, ხოლო ცოცხლები მიგვრეკ-მოგვრეკეს, მერე ერთმანეთს დაერივნენ. ის რაც პარიზის საელჩოში უნდა მომხდარიყო და მხოლოდ ნახევრად მოხდა—ამ შინაური ბოლშევიკური ტეროორის გამოძახილია. მისი მნიშვნელობა მარტო ის კი არ არის, რომ ამ შინაური ბოლშევიკური ტეროორის უცხო სახელმწიფოში გადატანა ბოლშევიზმს საქვეყნოდ თავსა სჯრის. არა, ევროპამ იქნება ეხლა მაინც წარმოიდგინოს. რა უნდა ხდებოდეს იქ, თვით რუსეთში, რა უნდა ხდებოდეს ჩვენს სამშობლო საქართველოში, სადაც არც ყველა კაცია ჯერ კომუნისტი და მერე არც ყველა კომუნისტია დიპლომატის უპირატესობით აღჭურვილი, სადაც საფრანგეთის პოლიციას ხელი ვერ მიუწვდება, რომ კაცი განსაცდელისაგან იხსნას და სადაც მარტო ბოლშევიკური ჩეკა მეფობს. აი მთელი ვაება და მთელი შინაარსი იმ ამბავისა, რომელიც პარიზის რუსულ საელჩოში გამომქღავნდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ განათლებული კაცობრიობა ამ ამბავს სწორედ ასე შეაფასებს. ამისი ნიშანი ის არის, თუ როგორ შეხვდა ამ გაუგონარ სკანდალს ევროპის პრესსა და განსაკუთრებით ფრანგული. თუ არსებობს ისეთი სახელმწიფო, ისეთი რეჟიმი, ისეთი მთავრობა, რომელიც მსოფლიო სინიდისის მიერ გამოთქმულ მსჯავრს ასე გულგრილად იტანს, როგორც საბჭოთა რუსეთი, ეს იმასა ნიშნავს, რომ ბოლშევიკების სახელმწიფო დაბადებით პრესტიჟ მოკლებული ყოფილა. ასეთი სახელმწიფო ვერ იცოცხლებს და არც უნდა სცოცხლობდეს. რაც დღეს მის კარ მიდამოზედა ხდება, იმისი მომასწავებელია, რომ ბოლშევიზმის ეს აღსასრული სულ ახლო დროის საქმეა.

კავკასიის კონფედერაცია *)

რა არის კონფედერაცია?

კონსტიტუციური უფლების მცოდნენი ამ დაწესებულებით, რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანებას ჰგულისხმობენ, რომელნიც შინაცა და გარეც დამოუკიდებელნი რჩებიან და თავის თავს მხოლოდ, ისეთ რამეში ზღუდავენ, რაიცა მხოლოდ გაერთიანების იდეას ახასიათებს ყოველი ამ სახელმწიფოთაგანი ხელუხლებლად ინახავს როგორც თავის სახელმწიფო თვისებას, აგრეთვე სრულ სუვერენიტეტს. თვით კონფედერაციას არავითარი სუვერენული თვისება არა აქვს და ამნაირად სახელმწიფო არ არის. იგი ჰქმნის ლიგას, კავშირს და სხვას ამნაირი გ ნსაზღვრული მიზნების მისაღწევად. კონფედერატიული კავშირი ნიშნავს საერთო ხასიათის და საარსებო მნიშვნელობის ზომების მიღებას და დაცვას:

მფარველობა იმ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა, რომელნიც კონფედერაციაში იმყოფებიან და გარეშე სახელმწიფოების აგრესიულობის შიშს განიცდიან; დაცვა ზავისა კონფედერატიულად განწყობილ სახელმწიფოთა შორის; ჩარევა შინაურის მშვიდობიანობის უზრუნველ საყოფლად, ყოველ ამ სახელმწიფოში; მთავარი ეკონომიური ინტერესების მოვლა-პატრონობა.

საკავშირო კონსტიტუციის მიერ ნებადართული ზომების მიღება ხდება სახელმწიფოთა დეპუტატების საერთო კრებაზედ, კონფედერატიულ ცენტრში. ეს ზომები უნდა ეხებოდნენ ომის გამოცხადებას, ზავის შეკვრას და დიპლომატიურ აგენტების დანიშვნას.

კონფედერატიული ცენტრის დეპუტატები საკითხებს თავისი სახელმწიფოს მანდატის მიხედვით სწყვეტენ. ამათი დადგენილება ერთხმად უნდა ხდებოდეს, გარდა ზოგიერთი მიმდინარე საკითხისა, რომელიც ხმის უმეტესობით სწყდება. კონფედერატიული ცენტრის დადგენილებას უნდა თანა სდევდეს საკავშირო რესპუბლიკების რატიფიკაცია. ამ რიგად, კონფედერაცია იურიდიული პირია, საჯარო უფლების მექონე და უფლება მოსილი უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება ჰქონდეს, ხელშეკრულობა დასდოს, მაგრამ ისე რომ ზიანი არ მიაყენოს არც ერთის სახელმწიფოს უფლებას, რომელიც ამ კავშირში შედის.

კონფედერაციის კონსტიტუციაში, წინასწარ მიღებულ პირობების ძალით, ყოველი სახელმწიფო თავისი სურვილის ბატონია, რომ კონფედერაციიდგან გამოვიდეს.

კონფედერაცია მუდამ ხელშემწყობი ფორმა ყოფილა მოკავშირე

*) იხილეთ „სამშობლო" 2 N.

სახელმწიფოების დაახლოვებისა, მათი საერთო მიზნების განმტკიცებისა და ინტერესთა გაერთიანებისა და ბოლოს ფედერატიული სახელმწიფოს წარმოშობით დამთავრებულა. დღეს ქვეყნად კონფედერატიული სახელმწიფონი აღარ არსებობენ. მაგრამ ყველა დღეს არსებულმა ფედერატიულმა სახელმწიფომ კონფედერატიული ფორმა გაიარა. შვეიცარია 1848 წლამდე კონფედერატიული იყო. გერმანიაც 1815 წლიდგან, 1816 წლამდე კონფედერატიული იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კონფედერაცია 1778 წელს შექმნეს და 1887 წლამდე კონფედერატიულად არსებობდა. *)

შევეხოთ ეხლა მოკლედ იმ სახელმწიფოთა ისტორიას, რომელთაც კონფედერაციით დაიწყეს და დღეს ფედერაციას წარმოადგენენ.

ავიღოთ ყველაზედ უფრო ახალგაზდა ფედერატიული სახელმწიფო: „ბრაზილიის შეერთებული შტატები". იგი დაარსდა 1889 წელს. მისი კონსტიტუციის საფუძველი ასეთია:

1. ბრაზილიის ფედერაცია ოცი სახელმწიფოსაგან შესდგება.

2. ყოველი პროვინცია ცალკე სახელმწიფოა, იმართება დამოუკიდებლად, საკუთარის ხარჯით, ფედერალური მთავრობის ჩაურევლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმე სახელმწიფოს თავდაცვას ეხება, საერთო ფედერალურ კანონებს, ფისკის საკითხებს, როგორიც არის ფულის ტრიალი, შეტან-გატანა და სხვა. ყოველს შტატს თავისი კონსტიტუცია აქვს, ადმინისტრაცია, კანონმდებლობა და იურისპრუდენცია.

არგენტინის ფედერატიული რესპუბლიკა 1816 წლიდგან არსებობს. მისი ძველი კონსტიტუცია 1894 წელს ახალის დებულებებით იქმნა შევსებული.

იგი შესდგება ცხრამეტის დამოუკიდებელი პროვინციისაგან, რომელთაც თავისი კონსტიტუციები და საკანონმდებლო ორგანონი აქვსთ.

მაგრამ ყველაზედ დიდ ყურადღებას უძველესი შვეიცარიის ფედერატიული რესპუბლიკა იპყრობს. დღევანდელი შვეიცარია შესდგება ოცდასამის კანტონისაგან და ორის ნახევარ კანტონისაგან.

საუკუნეთა განმავლობაში შვეიცარია სამის ერისაგან შესდგებოდა: გერმანელებისა, ფრანგებისა და იტალიელებისაგან. ხან მთლიანად, ხან ნაწილობრივ, შვეიცარია ხან თავისუფალი იყო, ხან დამონებული და დანაწილებული მეზობელ სახელმწიფოთა მიერ (ვერმანია, ავსტრია, საფრანგეთი)

შვეიცარიის დამოუკიდებლობის ისტორია და შვეიცარიის ერების ერთ კავშირად გაერთიანება იწყება იმ ხანიდგან, როდესაც ზოგიერთმა მისმა ნაწილმა დამოუკიდებლობა იგემა, მაგრამ ცოტა ხანის შემდეგ ისევ დაკარგა. იმპერატორმა ფრიდრიხ მეორემ ორს კანტონს, შვიცსა და ურის თავისუფლება უბოძა. მაგრამ ფრიდრიხის მემკვიდრეებმა ბოძებული უკან წაიღეს და შვიცისა და ურის კანტონი ისევ ავსტრიას შეუერთეს. მა-

*) A. Bonde. „Précis de droit constitutionnel", 1925.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ სამმა პატარა კანტონმა: შვიცმა, ურიმ და უნტერვალდენმა 1261 წ. ერთმანეთში კავშირი (ლიგა) დასდეს და მტრის უღლის გადაგდებას შეერთებულის ძალით შეეცადნენ. 1315 წელს ეს სამი კანტონი აჯანყდა და ავსტრიის იმპერატორის ლეოპოლდის ჯარი დაამარცხეს. შვეიცარიის კონფედერაციის საძირკველი ამ დღიდგან ჩაიყარა. 1332 წელს მათ შეუერთდა კანტონი ლუცერნი, 1335 წ.—ციურიხი, გლარისი, ცუგი და ბერნი 14 და 15 საუკუნოებში შვეიცარია მუდმივ ომებშია გაბმული, ხან საფრანგეთთან და ხან ავსტრიასთან და თავის დამოუკიდებლობას იცავს. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ მთელი შვეიცარია არ იყო შესული ამ ლიგაში. სხვა და სხვა კანტონის ბედგომერეობა, შვეიცარიის სხვა და სხვა ნაწილში, სხვა და სხვანაირი იყო. ბევრ მათგანს ხშირად ჯერ კიდევ ცალკე უხდებოდა მტერთან ბრძოლა. ამავე დროს, შვეიცარიელებს თითონ ც ბევრი რამ ჰქონდათ ერთმანეთში სადავიდარაბო, რაც ხშირად შეტაკებითა და ომებით თავდებოდა.

საკმაოა გავიხსენოთ რეფორმატული ომების ეპოქა, როდესაც ჟენევისა, ცვინგლისა და სხვა კანტონებში კალვინიზმმა იჩინა თავი. ციურიხი, ბერნი, ბაზელი და გლარისი პროტესტანტიზმს მიემხრნენ. დანარჩენი კანტონები კატოლიციზმის ერთგულნი დარჩნენ მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს სარწმუნოებრივი ომებიც შეთანხმებით გათავდა, ყოველ კანტონს უფლება მიენიჭა ის სარწმუნოება ეღიარებინა რომელიც სურდა. არც ერთ კანტონს უფლება არა ჰქონდა თავისი ეკლესიური რწმენა სხვისათვის მოეხვია თავზედ.

ოცდაათწლოვანი ომის შემდეგ, ევროპის კონგრესმა, რომელმაც ვესთფალის ზავი შეიმუშავა, პირველად აღიარა შვეიცარიის კონფედერაციის დამოუკიდებლობა.

რას წარმოადგენდა ეს კონფედერაცია?

1. ყოველი კანტონი დამოუკიდებელი სახელმწიფო (რესპუბლიკა) და დამოუკიდებელი სარწმუნოება იყო. იყვნენ კანტონები არისტოკრატულის წყობილებით (ფრიად შეზღუდულის საარჩევნო უფლებით) და კანტონები დემოკრატიულად განწყობილნი. იყვნენ ისეთებიც, სადაც ფეოდალური წესები მეფობდნენ და ფეოდალურ გვარებს და ჯგუფებს განსაკუთრებული უფლებანი ჰქონდათ.

საფრანგეთის რევოლუციამ თავისი ნიადაგი შვეიცარიაშიაც მოიძია. რევოლუციის მომხრეებმა ხელში იარაღი აიღეს. კანტონებში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, შვეიცარიის საქმეებში საფრანგეთის დირექტორია ჩაერია. საფრანგეთის ჯარებმა ბერნი დაიპირეს და კონფედერაცია გაუქმებულად გამოაცხადეს. შვეიცარია თვრამეტ დეპარტამენტად დაჰყვეს. ნევშატელი, ბაზელის საეპისკოპოზო და მიულუზი საფრანგეთმა შეიერთა. კონფედერაციის საქმეები აიწეწა. 1830 წელს, საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, ბაზელის კანტონი ორად გაიყო 1846 წელს, ქათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის სარწმუნოებრივი შეტაკება იმითი დამთავრდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ კანტონები Uუგი, ფრიბურგი და ლევალე კონფედერაUიას ჩამოშორდნენ და Uალკე კავშირი (ზანდებუნდი) შეჰქმნეს. ფედერალურმა ჯარმა გამდგარი კანტონების ღენერალი დიუფარი დაამარUხა, მაგრამ გამარჯვებულებმა გამარჯვების ნაყოფით ვერ ისარგებლეს.

1848 წლის კონსტიტუUიამ გააერთიანა ყველა კანტონები—თავისუფლებისა და თანასწორობის ნიადაგზედ. 1874 წლის კონსტიტუUიამ მთელი შვეიUარიის წარსულის სული და მდიდარი გამოUდილება გამოხატა, და მისი მთავარი ძარღვი უმთავრესად ამ დამოუკიდებლობისადმი სიყვარულია. ამ უკანასკნელმა კონსტიტუUიამ შვეიUარიულ კანტონების შორის სრული თანხმობა გაამეფა და დღეს ადგილი აღარა აქვს იმ შინაურ გაუგებრობას, რომელიU დრო და დრო შვეიUარიას წარსულში აღელვებდა.

შვეიUარიის პოლიტიკურ გაერთიანების ისტორიაში მთავარ როლს ორი გარემოება ასრულებდა: დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება და ეკონომიური ფაქტორი, მაგრამ ეს გაერთიანება ნაყოფი იყო ამ საერთო ინტერესების თანდათანი აღმოჩენისა და შეგნებისა. ყველაზედ ადრე ფოსტა გაერთიანდა(1849 წ.) მას მოჰყვა საბაჟოს კანონი. საერთო ფულის სისტემა შემოღებული იყო 1850 წ., რკინის გზების გაერთიანება კი 1852 წ. სამხედრო ძალების გაერთიანების საჭიროება შეტანილ იქმნა 1874 წლის კონსტიტუUიაში.*).

(გაგრძელება იქნება).

დ. ვაჩნაძე

ქართული სოციალ-დემოკრატიის კრიზისი.

ჩვენი „მმართველი" სოUიალ-დემოკრატიული პარტია კრიზისს განიUდის. შეUდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს კრიზისი მხოლოდ ეხლა დაიწყო. სოUიალ-დემოკრატია, ანუ მენშევიკური პარტია, რომელიU თავისთავს ქართულსაU არ უძახდა და თავის ორგანიზაUიას „რუსეთის სოUიალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის" ნაწილად სთვლიდა, ის იდეოლოგია, რომელიU საქართველოს სრული ოUდახუთი წელიწადი აზავთებდა და ქართველ მასსებს რევოლუUიისა და სოUიალიზმისაკენ უხმობდა—უკვე 1921 წელს დაიშალა. 1921 წელს მოხდა არა მარტო საქარ-

*) William Martin. „Histoire de la Suisse" Payot, Paris.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს დამოუკიდებლობის დამხობა, არამედ ქართული რესპუბლიკის მმართველი პარტიის დაშლაც. პირუთვნელი ისტორია ოდესმე იტყვის— საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობამ გადაიყოლია ეს ოდესღაც მართლა ძლიერი პარტია, თუ, პირიქით, მენშევიკურმა პარტიამ გადაიყოლია საქართველოს დამოუკიდებლობა? მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს ეს დავა, ორივე ეს დებულება ისეთია, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიას კეთილს არც ერთი არ აყრის.

ეს პარტია დამბაჩის სროლით მოვიდა საქართველოში და ზარბაზნების გრიალზედ დასტოვა იგი. ყველაზედ მწარე ამ ტრაგიკულის ბოლოსი ის იყო, რომ ამ ზარბაზნებს მათი გუშინდელი ამხანაგები ესროდნენ. მან ვერ შესძლო ბრძოლის ველზედ გმირულად სიკვდილი და დაიშალა. პარტიის რჩეულმა ნაწილმა ემიგრაციაში ამოჰყო თავი, პარტიის მოზრდილმა ნაწილმა ბოლშევიზმისაკენ გადინაცვლა, პარტიის უმრავლესობა ქართველ ერში აითქვა და მამულიშვილთა მწარე ბედი გაიზიარა. ასე დაშლილი პარტიის შეერთება, ამ ნაწილების ისევ ერთ პარტიად ქცევა აღარაფერს შეუძლიან.

რას ნიშნავს ეს ამბავი? საზიანოა, თუ არა ქვეყნისათვის, ქართველი ერისათვის, მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის, რომ უდიდესი მისი პოლიტიკური პარტია დღეს დაშლილია და წამალიც არ არსებობს, რომ ისევ გაერთიანდეს და ის მისსია შეასრულოს, რომლის პრეტენზიები მასა ჰქონდა?

პირუთვნელად და გაბედულად უნდა ითქვას რომ საზიანო აქ არაფერია. სოციალისტური პარტიები სხვა და სხვა ერებში და სახელმწიფოში ისეთივე „აუცილებელი" მოვლენა გახდნენ, როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი ქორწილში. ამიტომ უნდა ვიფიქროთ რომ ასეთი თუ ისეთი სოციალისტური პარტია საქართველოშიაც მოდამ იქნება. მაგრამ ყავლი გაუვიდა და სამუდამოთ უნდა დაიშალოს ის ქართული სოციალ-დემოკრატია, რომელიც ქართულ ცხოვრებას სოციალური და პოლიტიკური სიყალბით ავსებდა, ერის უმრავლესობას თავის პარტიაში ერეკებოდა და ამ უმრავლესობის ეროვნულ, პოლიტიკურ და სოციალურ იდეალებს პარტიიდგან კარში აგდებდა.

ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ თავის პარტიაში შეიყვანა ის სოციალური კლასები—გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია, რომელთა მუდმივი მიდრეკილება და სოციალური ბუნება ეროვნული დამოუკიდებლობის, სამეურნეო ზრდის და კაპიტალისტური გამდიდრებისაკენ არის მიმართული, მაგრამ ხელში სოციალიზმის დროშა მისცა, რომელზედაც ეწერა:—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!"-ო. ყველაზედ აშკარა სიყალბე სწორედ ეს იყო, ვინაიდგან სწორედ ეს პროლეტარიატი არ არსებობდა საქართველოში. რაკი პროლეტარიატი არ არსებობდა, არ არსებობდა, მაშასადამე, მსხვილი წარმოებაც, ესე იგი—მსხვილი ბურ-

ყუაზია. ამ რიგად, გამოდიოდა, რომ ქართველ გლეხობას თავის საკუთარ გამდიდრებასთან უნდა ებრძოლა, ქართულ წვრილ-ბურჟუაზიას—თავის ზრდასთან. ამ გლეხობასა და წვრილ-ბურჟუაზიას, მაშასადამე, ის უნდა წაეღრჩო, რაც სწორედ მათ წიაღში უნდა აღზრდილიყო. ესა ჰქმნიდა ისეთ ველურ გაუგებრობას, ისეთ სოციალურ და ეკონომიურ ქაოსს და რეგრესს, რომელიც აფერხებდა არა მარტო ქართული საწარმოვო ძალების ბუნებრივ განვითარებას, არამედ ეწინააღმდეგებოდა იმ მინიმალურ სოციალისტურ ლოდიკასაც, რომელიც მოითხოვს, რომ სოციალიზმს წინ უაღრესად განვითარებული კაპიტალისტური მეურნეობა უსწრობდეს. ეს ანომალია იყო. მაგრამ ქართველი გლეხობა და ეს წვრილი ბურჟუაზია მაინც სოციალ-დემოკრატების რიგებში იდგა და სოციალ-დემოკრატიასაც ეგონა, რომ ისინი სოციალიზმისათვის იბრძოდნენ.

ისტორიამ საბრიყვო დაალევინა ქართველ სოციალ-დემოკრატიას. გამოირკვა, რომ სოციალიზმს საქართველოში თავისი მებრძოლი კლასი არა ჰყავს და ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ დღეს იმ ელემენტებზედაც უნდა აიღოს ხელი, რომლებიც გუშინ მის პარტიას ავსებდნენ და ამოქმედებდნენ. დღევანდელი კრიზისი ამ გაყრისა და ამ გამოთხოვების კრიზისია.

ბუნებრივად იბადება საკითხი—როგორ მოხდა რომ ქართველი გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია სწორედ ისეთ პარტიას დაუკავშირდა, რომელშიაც ქართული და ეროვნული ხაზი ასე ოფტა იყო და სულ არ იყო? ვსთქვათ, რომ თვით ქართული სოციალ-დემოკრატიისათვის, რომლის დროშაზედ მარტოდენ სოციალიზმი ეწერა სულ ერთი იყო, ვინ მოუხდენდა რევოლუციას და ვინ განუხორციელებდა სოციალიზმს! მით უკეთესი ამ სოციალ-დემოკრატიისათვის და მით უარესი ამ გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიისათვის, თუ ყელს თავისი ხელით გამოიჭრიდა და სოციალიზმს თითონვე დაამყარებდა, ვინაიდგან ბოლშევიკების მიერ „განხორციელებულმა" სოციალიზმმა საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ ადვილი ყოფილა მსხვილი ბურჟუაზიის მოსპობა, მაგრამ ძნელი ყოფილა სწორედ ამ გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის გარდაქმნა და მათის ხელით სოციალიზმის დამყარება. ამიტომ გამოსარკვევი ის კი არ არი, ქართველმა ბურჟუაზიამ ეს გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია რად აიყოლია, გამოსარკვევი და ასახსნელი ამ მოვლენის მეორე მხარეა—თითონ ეს გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია რად აჰყვა სოციალ-დემოკრატიას?

ალ. ასათიანმა ფრიად დროულად გაგვახსენა, ნ. ჟორდანიასაგან ნათქვამი და დღევანდელს ხმაურობაში თითქმის სავსებით მივიწყებული სიტყვები, რომლებიც ქართული სოციალ-დემოკრატიის შეხედულობას გლეხებზედ სავსებით აშკარავებენ.

„საქართველოს რესპუბლიკას და რევოლუციას—სწერდა ნ. ჟორდანია—შესაძლებელია მოელოდეს შიგნიდგან ერთად ერთი საფრთხე გლე-

ხობისაგან. ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის... მოძრაობაში ის მონაწილეობას იღებს როგორც ვებერთელა დამრღვევი ძალა... ჩვენ იმდენად დაგვიწყდა მარქსიზმი და დაუჯერეთ ესეოულ „აზრებს", რომ დღემდე ზოგიერთი ჩვენში ამ გლეხებს იღებს როგორც რევოლუციონერებს და დიდის ყოყმანით თანხმდებიან მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებაზედ. დროა ბოლო მოუღოთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ნაროდნიკულ ილუზიების ბატონობას. დროა დაუბრუნდეთ მარქს და მაგრად დავსდგეთ გლეხების რეაქციისაგან რევოლუციის დაცვის ნიადაგზედ". (ალ. ასათიანი. „ძველი და ახალი მემკვიდრეობა". გვ. 108).

ეს ციტატა იმიტომ მოგვყავს, რომ ჩვენ მიერ ზემოდ დასმულ კითხვას თავისი ბუნებრივი ელფერი მივსცეთ. როგორ შეეძლო, მართლა, ქართველ გლეხობას ისეთ პარტიასთან ჰქონოდა კავშირი, რომელიც მასზედ ასეთის აზრისა იყო? მართალია, ამას ნ. ჟორდანია მაშინ ამბობდა, როდესაც უკვე საქართველოს დამოუკიდებლობა არსებობდა და გლეხობას ამ სოციალ-დემოკრატიული პარტიიდგან გამოსული მთავრობა აღარ მოსწონდა. მაგრამ ქართველი გლეხობისა და ქართული სოციალ-დემოკრატიის კავშირი გუშინდელი ამბავი არ იყო და იყო დრო, როცა პარტიაც თავის საკუთრებათ აცხადებდა ამ გლეხობას, გლეხობაც „კარგად" გრძნობდა თავს ამ პარტიაში. მაშ, საიდგან არის ეს უნძრახობა? ეს რა მიზეზი გატყკრა, რომ ამდენი წელიწადი პარტია და გლეხობა ერთად იყვნენ, დამოუკიდებლობა „ერთად" მოიპოვეს და დამოუკიდებელ საქართველოში კი გლეხობას პარტია აღარ მოსწონდა, პარტიას გლეხობა? თქმაც არ უნდა რომ რაღაც უცნაურ თამაშთანა გვაქვს საქმე! თქმაც არ უნდა, რომ ეს ოცდახუთი წელიწადი გლეხობისა და პარტიის თანამემცხედრეობისა ურთიერთი მოტყუილების აშკარა ნიშანს ატარებდა. ამიტომ იბადება საკითხი: ამ რთულს და გრძელს პოლიტიკურ თამაშში ვინ ვის ატყუებდა— პარტია გლეხობას, თუ გლეხობა—პარტიას? ამისი პასუხი ფრიად საყურადღებოა და ფარდასა ხდის ჩვენი სოციალური და პოლიტიკური განვითარების იმ საინტერესო ხანას, როცა სოციალური კლასი და პოლიტიკური პარტია ორივე ერთმანეთს ატყუებდა, რადგანაც ეს ტყუილი სხვა და სხვანაირად კლასისათვისაც საჭირო იყო, პარტიისათვისაც. ამ სოციალურ სიყალბეში გამოიხატა მაშინდელი საქართველოს მთელი უსუსურობა და ჩამორჩენილობა. საქართველოში გაჩნდა, როგორც Deus ek maehina, პარტია და იდეოლოგია—სოციალიზმი, რომელსაც შესაფერი მებრძოლი კლასი არა ჰყავდა და მისავე სინამდვილეში არსებობდა სოციალური კლასი, რომელსაც ჯერ თავისი პოლიტიკური პარტია არ შეექმნა. ქართველი გლეხობა და ქართული სოციალ-დემოკრატია ამ სოციალურმა ჩამორჩენილობამ დააძმობილა. ეს ანომალია წვრილ ბურჟუაზიასაც უნდა გაეზიარებინა. ქართველი გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, გადატაკებული თავად-აზნაურობა და უადგილო ინტელიგენცია, რომლებიც პოლიტიკური უფლებებისათვის და ეკონომიური წარმატებისათვის იბრძოდნენ, გა-

ჰყვებოდნენ ყველას, ვინც პირველი გაუწოდებდა ხელს, ვინც პირველი იკისრებდა პოლიტიკური ბრძოლის მეთაურობას და პოლიტიკურად ყველაზე ადრე დარაზმულად გამოვიდოდა. რა უყოთ, რომ იმ ჟამად ეს დარაზმული მეთაური სოციალისტური პარტია აღმოჩნდა. საქმე ამ უსუსური და ჩამორჩენილი დროს გაჩანჩალება იყო, თორემ არამკითხე პარტიის მერე თავიდგან მოცილება ადვილი იქნებოდა.

აი ეს უტყუარი გარემოება აძლევს სოტაოდენი ლოდიკის ძალას იმ ანომალიას, რომ ქართველი გლეხობა და წვრილი ქართული ბურჟუაზია ამ სოციალ-დემოკრატიას დაუმეგობრდა. ამ მეგობრობამ იმ დრომდე გასტანა, ვიდრე ქართველმა გლეხობამ და წვრილმა ბურჟუაზიამ ეროვნული დამოუკიდებლობა არ მოიპოვეს. მათი ძველი ბრძოლაც „პოლიტიკურის უფლებებისათვის" სწორედ ამ დამოუკიდებლობას ნიშნავდა. ამ დამოუკიდებლობამ პოლიტიკური ასპარეზის ბატონებად ეს გლეხობა და წვრილი ბურჟუაზია გამოიყვანა, მაგრამ უკვე საკუთარის გეგემონიით და საკუთარის პარტიის ყოლის აშკარა სურვილით. შეეძლო განა ამ გლეხობას და ამ წვრილ ბურჟუაზიას, ამის ჰემდეგაც, იმ პარტიაში დარჩენილიყო, რომელიც, როგორც ნ. ჟორდანია ამბობდა, მხოლოდ რევოლუციას იცავდა და ისიც ვისგან? იმ გლეხობისაგან, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა, დამოუკიდებლობა მოიპოვა და ნახელმწიფო დაიარსა? თქმაც არ უნდა, რომ ისტორიულის და პოლიტიკურის პირობებით იძულებით შექმნილს ამ ანომალიას ბოლო უნდა მოღებოდა და ქართველი გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატიასთან უკანონო და უბუნებო კავშირი უნდა დაშლილიყო-

ქართული სოციალ-დემოკრატიის დღევანდელი კრიზისი და მისი აუცილებელი ხვალინდელი დაშლა ამ გაცრუებული იმედების და ამ დაკარგული დროის ნაყოფია. იმ პოლიტიკურ სიყალბეში, რომელსაც ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ თავისი ოცდახუთი წელიწადი შესწირა, მოტყუილებული თითონ დარჩა. ამას ზედ ის გარემოებაც დაერთო, რომ სოციალიზმის ნამდვილი ბუნება, მენშევიკების შემდეგ, ბოლშევიკებმა სავსებით აშკარა ჰყვეს და სოციალიზმის ის დანარჩენი საიდუმლოც გამოამჟღავნეს, რასაც მენშევიზმი ვითომ ცდა ოსტატურად სახვალიოდ ინახავდა. გამოირკვა, რომ სოციალისტობის გზა—მენშევიკური იქნება, თუ ბოლშევიკური—და ქართველი გლეხობისა, სხვა და სხვა ყოფილა და მათ ცალკე უნდა იარონ. მაგრამ ამის გარდა სხვა რამეც გამოირკვა. ქართველი გლეხობა და მთელი ქართველი ერი სამუდამოდ დარწმუნდა, რომ ამ სოციალ-დემოკრატიას სრულიად არაფერი გაგება, რა არის ეროვნული დამოუკიდებლობა, რაც ამ გლეხობისათვის და დანარჩენი ქართველი ერისათვის იმ ბრძოლის მთავარი საგანი იყო, რომელსაც ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ეწეოდა. გლეხობის პარტიისაგან გაყრისა და მით ამ პარტიის დაშლის პროცესი ამ გარემოებამ უფრო დააჩქარა. ამ გაყრიდგან ქართული სოციალ-დემოკრატია ჯკუა წაგებული და დაშლილი გამოდის,

ქართველი გლეხობა ჯკუა ნასწავლი და საკუთრად დარაზმული. ეს პროგრესიული მოვლენაა. ესა ნიშნავს, რომ ქართველი ერის პოლიტიკური უსუსურობისა და სოციალური ჩამორჩენილობის ხანამ გაიარა და მისი განვითარება ამიერიდან ბუნებრივად იწარმოებს.

ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ თავის დაშლილობის მიზეზი ჩვენს სოციალ-დემოკრატიასაც ისე ესმოდეს, როგორადაც სინამდვილეში არსებობს. შეცდომები რომ უფრო გვიან კვდებიან ვიდრე ადამიანები—ძველი ჭეშმარიტებაა. წყალწაღებული რომ ხავს ეკიდებოდა—ესეც ძველი ქართული ანდაზაა. უნდა ველოდეთ, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია გამომთელებას და აღდგენას მოინდომებს. ამიტომ ერთად ერთი რეაქციონური, ძველი ვითარების მოტრფიალე პარტია საქართველოში, დღეს მხოლოდ სოციალ-დემოკრატია არის. უკანასკნელი ცხრა წელიწადი, ემიგრაციაში გატარებული, ამ რეაქციონერობის უილაჯო ცდა არის. პარტია საქართველოში დაიშალა, მაგრამ მისი გადარჩენილი მეთაურები ემიგრაციაში სცდილობენ მის წამოყენებას. მაგრამ ეს ამაო ცდაა. საკმაოა პარტია ოტა თავის ისტორიას ჩაუკვირდეს, რომ ეს ამაოება თითონვე იგრძნოს. ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ თავისი პოლიტიკური ასპარეზობა იმითი დაიწყო, რომ თავი პროლეტარიატის პარტიად გამოაცხადა და სრული ოცდახუთი წელიწადი გლეხობას და წვრილ ბურჟუაზიას სდევდა კუდში. დღეს ამაზედაც შორს მიდის და ეროვნულ პარტიად გვევლინება, ესე იგი თითონ ისევ სხვის საქმეს აკეთებს და სხვებს თავის საქმეს აკეთებინებს. ამას ბარბაცი და მიზანში აცდენა ჰქვიან. საქართველო დღეს ისეა შეცვლილი, რომ ამ პარტიის საქმეს აღარავინ გააკეთებს. ამიტომ ანგარიში და გონიერება მოითხოვს, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატიამაც მარტო თავისი საქმე აკეთოს.

ამ პარტიის წმინდა დემოკრატიულმა ნაწილმა, რომლის იდეალები იმავე გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის იდეალებს არა სცილდება, სოციალიზმს თავი უნდა მიანებოს და ნამდვილ ეროვნულსა და დემოკრატიულს პარტიაში უნდა მონახოს ბინა. დროა ბოლო მოეღოს იმ სოციალისტურ სნობიზმს, რომლის გადამკიდე ათასი რიგიანი და გამოსადეგი პირი უსაგნოდ დაიარება, ჩვენს ისედაც გაჩანაგებულ ცხოვრებაში, სოციალისტურ მომავალზედ ყეყეჩობს და აწმყოში მაფრთხობელას როლს თამაშობს. ახალ საქართველოს სჭირია არა ისტორიისაგან ცხვირ-პირ დასისხლიანებული, ნაცემი და ნაბეგვი პარტიები, გაცრუებულის პროგრამებით და გაბახებულის იდეოლოგებით, არამედ ლაღი და თავისუფალი ეროვნული შემოქმედება, ერთად ერთი ამშენებელი საქართველოს მომავლისა.

შალვა ამირეჯიბი.

ჩვენი ბრძოლის უმთავრესი საფუძველი

ქართულ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლას ისეთ დროს მოუხდა ლეგალურ ჩარჩოებში მოქმედება, როდესაც რუსეთის რევოლუციამ სოციალისტურ ლოზუნგებს დაემონა.

ამ გარემოებამ იმ თავითვე გაურკვევლობა შეიტანა ჩვენს ბრძოლაში. მტრის სახე მარტივად და მთლიანად ვერ ჩამოყალიბდა. ჩვენც მტრის ერთ ნაწილს გაუმართეთ ბრძოლა, იმ დროს როდესაც მისი სხვა ნაწილები თვალთახედვის ასპარეზზე იყვნენ, მაგრამ ბუნდოვანად სჩანდნენ.

საბჭოთა ჯარების შემოსევამ უფრო გააძლიერა ეს ვითარება. ჯერ იმიტომ, რომ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს ანგარიშები მთლად არა ჰქონდათ გასწორებული, მტრის ჯარებს ქართველი მენშევიკების მოცილე ქართველი ბოლშევიკები შემოუძღვნენ და შემდეგ იმიტომ, რომ მიმდინარე ეპოქაში ქართველობას პრაქტიკულად ბოლშევიკურის ნიღაბით მოვლინებულ რუსეთთან მოუხდა შებრძოლება.

აი ამიტომ ყოვლად მაღალი და ღრმა შინაარსის ეროვნული ბრძოლა ქართველი ხალხისა, მენშევიკ-ბოლშევიკურ მთავრობათა და პარტიათა ბრძოლად დახურდავდა.

დღესაც ხშირად გაიგონებთ ქართველი და არა ქართველისაგან: მენშვიკური მთავრობაო. მათ არ უხერხდებათ სთქვან: ქართული მთავრობაო.

როგორ უნდა ვიფიქროთ: ქართული პრესტიჟი ამან აამაღლა თუ დაამდაბლა შინ და გარეთ?

მებრძოლ ქართველობის ზოგიერთ რიგებში, როგორც ვიცით, დროებით ისეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა დამკვიდრდა, თითქოს მას რაც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს, არ ჩაიდენდნენ მონარქისტული, ბურჟუაზიული, ლიბერალური, დემოკრატიული, სოციალისტური თუ მენშევიკური რუსეთის ხელმძღვანელნი.

უცხო წრეებში კი ეჭვი შეიპარა ქართული საქმის სიმტკიცეში და თვით ღირებულობაში და ეს არა იმიტომ, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ჯერაც არ მოტეხილა თავის იმპერიალისტურ მიდრეკილებებში, არამედ იმიტომ, რომ თვით რუსეთსაც არ მისწვდენია მკაფიოდ გამოსახული გადაწყვეტილება ქართველი ერისა თავისუფლად და სუვერენულად იარსებოს.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მებრძოლი თუ დარწმუნებულია თავის სიმართლეში, თუ მისთვის ნათელია ბრძოლის მიზანი, მაშინ მტრის ფიზიონომიის გარკვევა ნახევარი გარანტია არის გამარჯვებისა.

ამიტომ კატეგორიულად, გადაჭრით და უყოყმანოთ უნდა ითქვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქართველი ხალხის მტერი არის არა მარტო კომუნისტური მთავრობა, რომ დამნაშავე აქართველი ერის წინაშე რუსეთის სხ. ყოფილი და მომავალი პარტიებიც და მთავრობებიც: მონარქისტულიც, პარლამენტარულიც, რესპუბლიკანურიც, დემოკრატიულიც, მენშევიკურიც და სოც.-რევოლუციონურიც. დღემდე ეს ასეა. შესაძლოა ისტორიულმა კატასტროფებმა რუსის ხალხიც მიიყვანოს იმ აუცილებელ დასკვნამდე, როდესაც აღარ შეიძლება ერის თავისუფლების შეკვეცაზე ფიქრი. ქართველი ხალხი, ცხადია აღტაცებით შეხვდება ამ მომენტს, მას მიესალმება და თავისი პროგრესის გზაზე წაზავებას უკრო დაწყნარებული ძარღვებით, უფრო დამშვიდებული გონებით შეუდგება. მაგრამ ვიდრე რუსის ხალხი და მისი პარტიები ჯერ არ ამეღვნებენ ასეთის ხაზით საკუთარი კერის მოწყობის სურვილს—და კიდევ უკანასკნელ მანიოვრებს მიმართავენ დიდი რუსეთის ილუზიების შესანარჩუნებლად,—ჩვენი ვალია განვაცხადოთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებს არ გამოადგება ის ხალხი თუ მიმართულება, რომელსაც ვერ შეუგნია, რომ ბრძოლა გვაქვს არა რუსეთის პროლეტარიატთან, დემოკრატიასთან, ვაჭარმრეწველებთან და თავად-აზნაურობასთან, რომ ჩვენ არ ვებრძვით მარტო მემარცხენე, ან მარტო მემარჯვენე რუსეთს, არამედ ვებრძვით რუსეთს, როგორც ერთს მთელს, სანამ ის ჩვენს უფლებას არ იცნობს და სანამ ის არ იქნება ჩვენთან თანასწორ უფლებიან ურთიერთობაში.

ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი მარტო არ იქნება. მის გვერდით იბრძოლებს მთლიანი კავკასია, გათვითცნობიერებული ყაზახი ტანი, უკრაინა, თურქესტანი და უკვე რუსეთს ჩამოშორებული სახელ მწიფოხი. ამათთან ერთად ჩვენს მხარეზეა სიმართლე, ისტორიული აუცილებლობა, ცივილიზაცია და პროგრესი.

საკითხის სხვანაირად მიდგომა ისეთსავე სუსტ პოზიციაზე დააყენებს განმათავისუფლებელ ბრძოლას, როგორც ეს ქართველ მენშევიკებს დაემართათ

ასეთმა პოზიციამ და არა ილაჯ-გაწყვეტილი რუსის ხალხის სიმრავლემ დაგვაკარგვინა საქართველოს დამოუკიდებლობა. პირიქით, რომ ესპოზიცია არა, რუსის ხალხთან შესაძლოა სალაპარაკო ბაზაც მოგვნახა და გვეიძულებინა ეს ხალხი დათანხმებულიყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საძირკვლები და ფესვები ღრმა, შორეულ ისტორიაში ა ?ის ჩაყრილი.

ესეც რომ არა, ევროპის ხელმძღვანელ წრეებისათვის საქართველოს იმედი რომ მიეცათ, ისინი ასე ადვილად არ გააკარებდნენ ბოლშევიკებს კავკასიის საზღვრებს.

ესევე მიზეზი იყო უმთავრესად, რომ კავკასიის დანარჩენ ერებთან საერთო ენა ვერ იქნა გამონახული. რა ეკითხებოდა საქართველოს—ვინ იქნებოდა აზერბეიჯანის, სომხეთის და მთიულეთის სათავეში: მუსავატი, დაშნაკცაკანი თუ მთის ბეგები. მაგრამ მენშევიკები საქართველოს ახვევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ თავს იმ ახირებულ და ყოვლად უმზგავსო აზრს, თითქოს აზერბეიჯანშიც, სომხეთშიც და მთშიაც მაინცა და მაინც მენშევიკებს უნდა სჭეროდათ ხელისუფლება. განა ამავე პრინციპზე არ არის აგებული ბოლშევიკური საბჭოებიც? როგორღა შეეძლო კავკასიის ერებს გულწრფელ კავშირში შესულიყვნენ ქართველ ერთან, ვიდრე უკანასკნელს მენშევიზმი მიუძღვოდა.

ქართულ (უკეთ რომა ვსთქვათ მენშევიკურ) დიპლომატიას ვერ მოუხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის დასაბუთება ისტორიულის, ყველგან აღიარებულის და მიღებულის მოსაზრებებით ვერც რუსეთის, ვერც კავკასიის და ვერც ევროპა-ამერიკის წინაშე. ის მუდამ შიშით იყურებოდა წინ და უკან და საბოდიშო სიტყვებს ეძებდა მე-2 თუ მე-2½ ინტერნაციონალების გასაგონათ. ნამდვილად კი მე-2 და 2½ ინტერნაციონალები დაყრუებულნი და დამუნჯებულნი აღმოჩნდნენ, ხოლო რუსეთს, კავკასიის და ევროპა-ამერიკის თვალებმაც დაინახეს შიში და ყურებმაც გაიგონეს ბოდიში.

ასეთმა უმგვანო პოზიციამ ლამის იყო მტვრად აქცია ქართველი ერის საუკუნეთა გასწვრივ გაწეული შრომა. ხოლო ორთქლად დაღვრილი სისხლი, რომ ერს თვით არ ეჩინა ცხოველ-მყოფელი ძალა. ერი კიდევ აპატიებს სიბრიყვეს, როდესაც ეს პარტიებისა და ჯგუფების სახელით ხდება, ხოლო სახელმწიფოისა და ეროვნული ორგანიზმის სახელით ჩადენილ სიბრიყვეს იგი გარდაუვალ ზღუდეებს უდებს.

მენშევიკური პარტიის ნაპარ-მტვრად ქცევა პირველი გამოძახილი იყო ქართველი ხალხის მართლ-მსაჯულებისა. ის ისე ადვილად და ცივად შეურიგდა მენშევიზმის გაჩანაგებას საქართველოში და თვით მენშევიზმიც ისე უწინააღმდეგოთ ამოიღრჩო ბოლშევიკურ ტალღებში, რომ მომავალი მემატიანეს დიდ ძალი მტვრის ჩაყლაპვა მოუხდება სანამ ქართული ეროვნული ბრძოლის არქივებში მენშევიკურ ნაშთებს აღმოაჩენდეს.

ეჭვს გარეშეა ამან საგრძნობი ზარალი მიაყენა საქართველოს განთავისუფლების საქმეს, მაგრამ აქ ქართველ ხალხი არაფერ შუაშია. ის სამი ათასი წლის განმავლობაში იბრძვის საარსებო უფლების მოსაპოვარად, წარმოუდგენელის ტანჯვითა და მსხვერპლის გაღებით იმკვიდრებს ამ უფლებას, რუსული საოკუპაციო ხელისუფლებასაც უთანასწორო და შეუპოვარ ბრძოლებს უმართავს ამ უფლების შესანარჩუნებლად, საუკეთესო შვილებს სწირავს ამ ბრძოლაში, მარცხდება კიდეც, მაგრამ მაინც არსებობს. ამაზე მეტი დღეს დღეობით და ჯერ-ჯერობით ქართველ ხალხს არ მოეთხოვება.

მაგრამ, ვიმეორებთ, მისი მომავლისათვის მებრძოლებს ევალებათ იცოდნენ, რომ რომელი პარტიაც არ უნდა ჩასდგომოდა რუსეთის ხელისუფლებას სათავეში, ქართველი ერი მასაც ისეთის მკაცრის ბრძოლითა და

ზიზღით შეხვდებოდა, როგორც შეხვდა იგი კომუნისტურ რუსეთს.

მარტივად: ბრძოლა ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი არსებობისათვის, არის ბრძოლა რუსებთან და არა მარტოოდენ ბოლშევიზმთან ან კომუნიზმთან იმ მომენტამდე, როდესაც რუსეთი ხელს აიღებს ერიჭამიობაზე, მსუნაგობაზე და შეუდგება თავისი არეული ცხოვრების დალაგებას და არა სხვისი დალაგებული ცხოვრების არევას. ამაში მოკავშირედ მთელი კაცობრიობა გვეყოლება. ვინ დაუჯერებს დღეს მაინც რუსობას, რომ იგი მესიანიზმისათვის არის მოწოდებული, როდესაც სიურპრიზებისა და უცნაურობების გარდა არაფერით გამოუჩენია თავი ქვეყნიერების მოწყობის საქმეში. მას ადვილად შეუძლია კომუნიზმი აბსოლუტურის მონარქიით შესცვალოს. საბჭოები პარლამენტით, სოციალიზმი დემოკრატიზმით და საუკუნოებრივ ანარქიისა და ქაოსის ატმოსფერაში იარსებოს. ეს მის ბუნებას შეადგენს და ხვალ შეიძლება ისევე ადვილად წამოსკუპდეს რომელიმე მეჯინიძე მთავრობის სათავეში, როგორ დღეს ჩვეულებრივი ბანდიტიც.

რა დარჩენია საქართველოს ასეთ პირობებში, თუ არ დაუდგომელი ბრძოლა და მისთვის მუდმივი სამზადისი და ამ ბრძოლის მოკავშირეთა ძებნა!

ქართველ ხალხს ძვირად დაუჯდა ის შეცდომა, როდესაც აღმოსავლეთის შიშით მოკავშირეთა ძებნაში თვალებს ჩრდილოეთით აჩერებდა და დასავლეთად მოეჩვენა რუსეთი. აზიის საფრთხემ გაიარა არც ოსმალეთი, არც სპარსეთი ჩვენთვის საშიში აღარ არიან. ეს ხანა ისტორიას ჩაბარდა. და ამიტომ პირველი ბუნებრივი მოკავშირე, იმავე ინტერესებით ამოძრავებული, როგორც ქართველობა, არიან კავკასიის ერები, რომლებთანაც ადავო უმნიშვნელო რამა გვაქვს, საერთო კი თითქმის ყველაფერი.

კონფედერატიული კავკასია ძლიერ მეგობრებს შესძენს საქართველოს დიდი სახელმწიფოთა სახით, რომელთა ინტერესიც მრითხოვს დამოუკიდებელი კავკასიის არსებობას აღმოსავლეთის ყელში ისე, როგორც პოლონეთისას და სხვათა დასავლეთის ველებში.

ეს შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოსთან ერთად მთლიანი კავკასიაც გადაჭრით უარს განაცხადებს ითანამშრომლოს რომელიმე რუსულ პარტიასთან, ან რაიმე თანაგრძნობა გამოუცხადოს რომელიმე რუსის მოღვაწეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, მარკოვი მე-2, სტრუვე, მილიუკოვი, ჩერნოვი, კერენსკი, აბრამოვიჩი თუ რიკოვი, უკეთუ ესენი წინასწარ არ მიიღებენ ვალდებულებას იცნონ სრული სეპარაცია კავკასიისა რუსეთისაგან.

ჯერ ჯერობით წინააღმდეგს ვხედავთ მათის მხრით.

მათი გრძნობა, აზრი და მიზანი-მისწრაფებანი ძველს მიმართულებას არ ასცდენია: დაიმონონ კავკასია, სიძულვილი სთესონ კავკასიელე-

ბისა ყველგან და ყოველთვის, გააქრონ ხსენება კავკასიელთა და გაარუ-სონ ისინი.

ამაზე ო' ი აზრი და ორი რწმენა დღევანდელ ვითარებაში არ უნდა არსებობდეს კავკასიის ერთა და მათ ხელმძღვანელთა შორის. არ ვიცით ხვალ რას იტყვიან რუსები, დღეს კი იმ წრეში, რომელიც კავკასიის განთავისუფლების საქმის სათავეშია, სხვა რწმენისა და სხვა აზრის მქონე პიროვნება თუ ჯგუფი სამოქმედო ასპარეზს ვერ გამონახავს.

ბოლშევიკებთან ბრძოლაში ბევრს კლასობრივი და წოდებრივი მომენტი ამოძრავებს, ბევრს კი პარტიული.

აქ ეროვნული მომენტის ძლიერება დაფარულია და ამიტომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მ სთან ერთად მთელი ქართველი ხალხი საკითხის ასე მიდგომას მიუტოვებელ დანაშაულად აღიარებს, ვინაიდგან კლასობრივ-წოდებრივი, გინდ პარტიული გრძნობებით გამსჭვალვა ადუნებს, აყუჩებს და ხშირად აძინებს მებრძოლ ეროვნულ სტიქიას.

ბოლშევიზმთან ბრძოლა ერთი საშუალებათაგანია ჩვენი საბოლოო მიზნის მისაღწევად. იგი მხოლოდ ერთი ეტაპია ამ ბრძოლისა და თუ თვალს არ დავხუჭავთ რუსის ემიგრაციის მოქმედებაზე, მის აქტივობაზე კავკასიის საკითხში, დავრწმუნდებით, რომ ბოლშევიკებზე ნაკლებ ზარალს არც ესენი აყენებენ ქართულ საქმეს. საკმარისია შევამჩნიოთ ამათი მოქმედება საერთაშორისო დიპლომატიის კულისებში, ევროპისა და ამერიკის საქმიან წრეებში, წავიკითხოთ მათი ნაწერები საკუთარ თუ უცხოელთა პრესაში, მათი საჯარო გამოსვლები და სხვა, რომ დავრწმუნდეთ მათ მავნებლობაშიც. ესენი ჰკვებავენ ევროპის საზ' გადოებრივ აზრს კავკასიის საკითხის ტენდენციურის გაშუქებით და ამცირებენ ჩვენს პრესტიჟს.

თუ მართალია ის ცნობები, თითქოს ამერიკელები იღებენ თავზე ნავთსადენი მილის გაყვანის საქმეს ბაქოდან და გროზნიდან ბალტიის ზღვამდე, ე. ი. პეტერბურგამდე, მაშინ უეჭველი უნდა იყოს ყველასათვის, თუ რა ზომამდე არაფერი გაკეთებულა კავკასიის განთავისუფლებისათვის იმათ მიერ, ვინც ამ მოძრაობას დღემდე ედგა სათავეში,

თუ ეს პროექტი განხორციელდა, მაშინ რუსეთი მთელის თავისის არსებით შემოდის კავკასიაში. ის არ დაკმაყოფილდება მარტოოდენ ნავთის ექსპორტ-იმპორტით და უშუალოდ გადააქვს თავის უზარმაზარი ტერიტორიის გასწვრივ კავკასიის ერთ-ერთი უდიდესი საარსებო ძარღვთაგანი, რითაც კავკასიას თავის ორგანიულ ნაწილად იხდის.

ამ პროექტის სწორი და ახდილი პოლიტიკური დაფასება უახლოესი ამოცანა იქნება კავკასიის ერთათვის. ის ნახევრად ამცირებს ჩვენი ბრძოლის შანსებს და არაჩვეულებრივი ერთსულოვნება არის საჭირო, რომ ეს პროექტი ნასახშივე იქმნას ჩაკლული.

როგორც ვხედავთ, ამაზე შორს ველარ წავიდოდა ჩვენი ხელმძღვანელების გაკოტრების საქმე და არც ამაზე მეტი საბუთი სჭირია კავკასიის ერებს, რომ მოითხოვონ სრული რეორგანიზაცია და ძირ-ბუდიანი, ღრმა ცვლილებების შეტანა განთავისუფლებისათვის მებრძოლ აპარატში.

თუ სიყვარული საქართველოისა, ბედი კავკასიისა ჯერ მთლად არ გახვეულა პირად თუ პარტიულ წუმპეში, თუ მდგომარეობის გართულება ოდნავად მაინც არის შეგნებული, ყველა გაიგებს და დაიფასებს საქართველოს ეროვნული დემოკრატიის ცდას—1) ვვერდით ამოიყენოს კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლნი, რომელნიც გრძნობითაც და გონებითაც ორგანიულად განიცდიან კონფედერატიული კავკასიის აუცილებლობას და 2) ახალს და რიგიან საფუძვლებზე ააშენოს რუსეთთან ბრძოლის და საკუთარი არსებობის, როგორც პრინციპები, ისე მეთოდები და გზები.

იმ კატეგორიის ხალხი კი—რომელთაც ამოძრავებს სულმოკლეობა, შურიანობა. შურისძიების გრძნობები, კერპობა და დოგმატიკობა, კერძო ინტერესი, პოლიტიკური წამხდრობა, მონური ფსიქოლოგია, ან მით უმეტეს ინტრიგანობა—ამ დიდი და წმინდა ბრძოლის ჯარისკაცებადაც კი ;ერ ივარგებენ.

ი. ხანანაშვილი.

ახალი თაობის დანიშნულება.

— რაზედ ფიქრობს ჩვენი თაობა?—კითხეს ერთ საზეიმო ვახშამზედ საფრანგეთის სოციალიზმის მედროშეს ჟ. ჟორესს.—არასფერზე—იყო პასუხი ლაკონიური, მსუბუქი და მცირე ამ დიდი სოციალისტისა. მას მხედველობაში იმ ფრანგული თაობის მხოლოდ ის მცირე ნაწილი რომ ჰყოლოდა, რომელიც მასთან ერთად წითელ ბაირაღს მისდევდა, უდაოდ მართალი იქნებოდა. მაგრამ ამ პატარა პასუხით მან იმ თაობის ის დიდი უმრავლესობა შეაფასა, რომელსაც დრო და სიმჩატე არა ჰყოფნიდა სოციალიზმზედ ეფიქრნა და რომლის აზრი და ფიქრი მეტად ღრმა და მძიმე იყო. საფრანგეთს დიდი ომი თავს დაატყდა. და ამ არასფერზედ მოაზროვნე-მოფიქრე თაობამ, მთელი განვლილი საუკუნეების სიგრძეზედ თავისი სიდიდით უმაგალითო, ეროვნული ომი სამაგალითოდ მოიგო. სოციალიზმისა და კლასთა ბრძოლის მქადაგებელმა ჟორესმა მისივე მოძმის ხელით ნასროლი უცნობი ტყვიით, თავისი ცნობილი სიცოცხლეც ტრაგიკულად წააგო. ვინ იტყვის, რომ მისი მკვლელობა მისივე ქადაგე-

ბის ნაყოფი და თვით მისი სულიერი შვილი არ იყოს. მან სიჭაბუკის ხანაში ეროვნულ-პატრიოტულ იდეებს შეუდარებელი დედა-ფორმა და შინაარსი მისცა. თვით ის კი, როგორც უდი ეროვნული პრაქტიკანტი მის გარეშე დარჩა. მაგრამ ბოლოს მაინც ეროვნული პანთეონის კარები გაუღეს და მისი წითელი ბაირაღით იქ დააბინავეს. ეს მხოლოდ ფრანგის ღრმა და მწიფე ეროვნულს შეგნებას შეუძლია. ეროვნულ-თავდაცვით ომში მოკლული უცნობი ჯარის-კაცი კი პარიზის გულში ჩაასვენეს და მისი საფლავიდან მოგიზგიზე ცეცხლის ენით ამეტყველდა ხორც-შესხმული აზრი და ფიქრი იმ თაობისა, რომლის სიმძიმეს ჟორესი მარქსის სასწორით წონიდა. და საკვირველებავ! მთელი საფრანგეთი სალიტანიოდ ასკლდება უცნობი ჯარისკაცის საფლავს; პანთეონში წითელი ბაირაღის ქვეშ ამოფარებულს ცნობილ სოციალისტს კი ძილს არავინ უფრთხობს.

ქართველ ერს უამრავი თაობანი გამოუცვლია. მათ შორის სულიერი ნათესაობა, ეროვნული მიზნის და მისწრაფებათა იგივეობა არასოდეს შესწყვეტილა, და ამის ძალით ქართველ ერსაც დღემდე მოუღწევია. რუსეთმა დაქანგული ნაჯახით გააპო ქართული აზრისა და ფიქრის დამტევი დ. ყიფიანის შუბლი და მისი მიმდევნო სისხლ-მოწამლული ქართული თაობაც შუა გაჰყო. ძველ თაობათა სულიერ მემკვიდრეობის სიძლიერით სისხლის მოწამვლას გადარჩენილი თაობის მეთაურის შუბლს ტყვია ჰკრა, ეს წმინდა სისხლი დაანთხია. სისხლ და სულთ-მოწამლული თაობის მეთაურის შუბლს, კარგი ყმობისათვის ბაგრატოვანთა გვირგვინი დაადგა. და ამ უთაო მეთაურისა და „გვირგვინოსანი" მეფის სახელით იწოდება ის თაობა, რომლის მზითს ვეფხის ტყაოსანის ნაცვლად მარქსის „კაპიტალი" შეადგენს; და რომლის ერთ-ერთმა შტომ სოსოდ წოდებულმა თავზედ რომანოვების გვირგვინიც კი დაიდგა.

ჟორესის ამ მოთეესავე თაობას არ მოსწონს მისი დროის ნამდვილი ქართული თაობა და მას სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს. მას არ მოსწონს არც მისი მომდევნო ქართული ახალი თაობა, რომელმაც ჯერ კიდევ პირზე დედის რძე შეუშრობელმა სამშობლოს დაცვისა და თავისუფლებისათვის ბრძოლათა მთელი რიგი გადაიხადა—ააღვიძა და ააცოცხლა ძველი ქართველი. ჩვენი დამოუკიდებლობის ხანა ამ ორ თაობათა შორის ბრძოლის ფაქტებით აღივსო; ამისი მოწამეა თბილისის უნივერსიტეტის დღეს წამებული კედლები, და არასოდეს ამ ახალი პატრიოტული თაობის ბეგობარნი თბილისის სასახლეს ვერ გაბედავს ამის უარისყოფას. მიზეზი ამ ბრძოლისა ის იყო, რომ ეროვნულად გამოფხიზლების ხანაში დაბადებულმა და წიწამურის ველზედ დანთხეული სისხლით მირონცხებულმა ახალმა თაობამ ძველ ქართულ თაობებთან სულიერი კავშირი აღადგინა და ხელი არ მოჰკიდა ქართულ თაობათა იმ უკანასკნელს დაქანგულსა და სისხლიანს რგოლს, რომელსაც ჟორდანიას თაობას ეძახიან.

ეს თაობაც ისე ახასიათებს ამ ახალ თაობას, როგორც არასფერზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაზროვნე-მომფიქრეს, უსაქმურს, ზერელესა და უდარდელს. ამ ფუქსავატ შეფასებაზედ პასუხი მომავლისათვის მიგვინდია, ხოლო დღეს კი ჭეშმარიტება ის არის, რომ მათის ყალობით სამშობლოდგან გადმოხვეწილს ახალგაზრდობაზედ სრულიად არ ზრუნავს ეს ძველი თაობა და იგივე მთავრობა, და თუ ზრუნავს მხოლოდ იმათზე, ვისთაც საქართველოდან მარქსის „წმიდა პერანგი"-ს ნახევი წამოუღია; ნეტარ არს ის ვინც მარქსი დაიმსახურა, ხოლო უბედური ჯარბზედ-ჯარბი ის უმრავლესობა, რომელ მაც სამშობლო ჭეშმარიტად დაიმსახურა, ფეხი გადმოსდგა, გული კი სამშობლოს საზღვარზედ დაუვარდა.

ჩვენმა თაობამ ყური არ უნდა ათხოვოს უკეღმართ საუკუნეში დაბადებულსა და იქვე გაკოტრებული თაობის ბურტყუნს. „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს". და ერთხელაც სიმწრით დაბადებული ეს კუზიანი თაობა ხელახლად ვეღარ იშობა, რომ მოზარდმა ახალი სული, ზნე და ხასიათი შეითვისოს. ჩვენი თაობის აზრი-გონებაფიქრი უკლებლივ მხოლოდ საქართველოსაკენ უნდა მიიმართოს, რათა ჭეშმარიტად შეიცნოთ მისი ტკივილები და მათგან განვკურნოთ. იმისათვის, რომ ამ ჩვენი მოვალეობა-დანიშნულების სიმძიმე წარმოვიდგინოთ და შევიგნოთ, სასწორის მეორე თვალზედ საუკუნოებით დამძიმებული ჩვენი სამშობლო უნდა დავსდოთ.

საქართველო ათეულ საუკუნეთა განმავლობაში ურიცხვ მტერთა წინააღმდეგ განუწვეტელ ბრძოლებში სისხლისა და მოსახლეობისაგან დაცლილი; მისი მიწა-წყალი მტერ-მეზობელთა შორის განაწილებული, და მცირეზედ-მცირე მოცულობაზედ, ბოროტის განზრახვით ეროვნულად ათქვეფილი მოსახლეობა, ხელოვნურად რამოდენიმე სახელმწიფო ერთეულად დანაწილებული. ეროვნული უძრავ-მოძრავი ქონება, საქმიანობა უცხოელთა ხელში; მშვიდობიანი ცხოვრებისათვის მოუცლელობით ეკონომიურად, კულტურულად ჩამორჩენილი; მისი დაუშრეტელი ბუნებრივი სიმდიდრე არაკითხულთაგან მსოფლიო საჯარო ვაჭრობაზედ, ვით ნაქურდალი ნივთი, გამოტანილი; და მისი ეროვნული უფლებებიც მსოფლიო ბაზარზედ გამოტანილ მატერიალურ საქონელზე დასაწონ ნაწილადათ ქცეული. ეროვნება, ოჯახი, ეკლესია, საკუთრება, მოქალაქეობრიობა—ბატივ აყრილი, შეგინებული და დანგრეული. და ამ ფესვებზედ წინაპართა რაოდენი შრომით, ზრუნვით, თავდადებით აღმოზრდილი და მათი სისხლითა და ძვალთაგან შექვითკირებული სახელმწიფო, ცნობილი და მძლეთა-მძლეველი, დანგრეული-მტვრად ქცეული, ვით გორის სადგური სტიქიური მიწისძვრის მიერ; და ეროვნული სუვერენობა ამ ნანგრევებიდანაც კი, ვით დროებით იქ თავშეფარებული ბეღურა, განდევნილი: ქართველი საქართველოში მონა და უენო, რუსი ბატონი და მეტყველი; ქართველი საქართველოს მტრად, რუსი საქართველოს მოყვარედ მიჩნეული. ისინი ,,ისთაც ათასი წლობით საქართველო უზრდიათ-უშენებიათ, მთელი მისი საუკუნოებით დატვირთული სიმძიმით, თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებზედ უტარებიათ—დღეს შეურაცჰყოფილნი: ეროვნულ გმირთა დავით-კონსტანტინის წმიდა სხეულნი ასო-ასოთ აქმნილი, ქუჩებში გამასხარებული, თვით ქართველის ხელითვე მეორეთ ნაწამები; საქართველოს ოქროს ხანის მჭედელი, ჩვენი ისტორიის შუქურ ვარსკვლავი დავით აღმაშენებელი, მისი სახელიდანაც გაძარცული, საქართველოს საეკვო მოქალაქედ მიჩნეული; დაცემული ერის მესიად მოვლენილი ღმერთ-კაცი ქართველის ხელითვე შუბლ გაპობილი, ვით ყაჩაღის მიერ უბრალო ჩარჩი ქალაქიდან დაბრუნებული....

ხოლო ისინი, ვისთაც საუკუნოებით დაფუძნებული ჩვენი ეროვნული ცხოვრება ათეულ წლობით უნგრევიათ, ჩვენს წინაპართათვის სილა, საქართველოსათვის კი ტყვია უკრავსთ, მისი ისტორია „tabula rasa"-დ გამოუცხადებიათ, წარსული შეძაგებიათ-დაუნგრევიათ, ხოლო ეს ნანგრევები—აწმყო მათაც კი შეზარებიათ, საქართველო თუ ქართველობა ბუსეთის ჯარებით დაუპყრიათ—აღმშენებლებად, ეროვნულ წამებულებად დაერის მეთაურებადაც კი გვევლინებიან. და ამ ჭეშმარიტად მეორეთ მოსვლისა და წარღვნის ხანაში ლოვილის კოშკი ქართველ ტომთა და ცხოველთა გადამრჩენ კიდობნად და თვით ამ წარღვნის გამომწვევ ეშმაკის მოციქული ბიბლიურ ნოედ მიგვიჩნევია.

ღმერთო! დაიცე საქართველო.

ჩვენი მისუსტებული ეროვნული ცხოვრების საფუძვლების ნგრევა სწორედ იმ დროს დაიწყო, როცა უცხო მონობისაგან განთავისუფლებული ერი მთელის თავისის ძალღონით ძველი საფუძვლების გამაგრებასა და მათზედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენას უნდა შესდგომოდა. ამ დროს შეიბღალა საკუთრება, მოქალაქეობრიობა. გაიძარცვა ეკლესია. დაიქცა ქართველის სისხლი ქართველისავე ხელით. ამ დროსვე გახადეს თამარ მეფეს ოქროს ქოში. და ამ დროსვე ჩაბოერთვა საქართველოს უდიდეს მეფე ერეკლეს—პატარა კახს—თბილისის ერთი პატარა სკოლაც და ვიღაც პლეხანოვს გადაეცა. ბედმა დაგვცინა. სად ერეკლე, სად პლეხანოვი?! და ვინ გაძარცვა პატარა კახი?—კაცმა სამფეხამ, ეროვნებით მენშევიკმა, არც-ერთი ქართული სიტყვის არ მცოდნემ, ვისი გვარიც კი რუსულია და ქართულად „ცხენიშვილათ" ითარგმნება. ჩვენი ეროვნული ცხოვრების დანგრევის ფაქტებით გაიხსნა, აღივსო და დაიხურა ჩვენი ხანმოკლე დამოუკიდებლობის ხანა. ხოლო რაც გადარჩა, ამას გარედან შემოჭრილი რუსი ანგრევს. და საქართველო ჟორდანიას მიერ „tabula rasa"-დ გამოცხადებული და მე-II ინტერნაციონალის მიერ სასუქ-ნეხვ დაყრილი დღეს მე-III ინტერნაციონალის საცდელ მინდვრათაა ქცეული.

და ამ ნგრევა-დაცემისა და დაავადების ხანაში, უკან თუ მივიხედეთ რეაქციონერებად მოგვნათლავენ. („ჩემი შენ გითხარი გული მოგიკალიო"). ჩვენი დიდებულნი მეფენი თუ მოვიხსენიეთ და მათ ხსოვნას პატივი ვეცით—მონარქისტებად. თუ ვსთქვით, რომ ვახტან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე, დავით აღმაშენებელი, სოლომონ მეფე და ძველი საქართველოს უკანასკნელი მნათობი ერეკლე მეფე, რომელთაც ალბათ მარქსის „კაპიტალის" არც-ერთი ტომი არ წაუკითხავსთ, უფრო დიდი სახელმწიფო მოღვაწენი და ერის ხელმძღვანელნი იყვნენ ვინემ ნ. ჟორდანია, მოღალატედ გამოგვაცხადებენ. და ვინ გაბედავს სთქვას რომ სოლომონ ლეონიძე უფრო დიდი პოლიტიკოსი და დიპლომატი იყო ვინემ გრიშა ურატაძე; ან თუგინდ ვახუშტი უკეთესი ქართველი გეოგრაფი—ვინემ იგივე ურატაძე. ჟორდანიას პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა ნიჭმა ხომ დაჩრდილა სოლომონ ლეონიძე, ისე როგორც გვიმბრა ჩრდილავს ხოლმე კაკლის ხეს მზის ჩასვლის შემდეგ.

აი ჩამორჩენილი, დანგრეული, დაცემული და დაავადებული ჩვენი ეროვნული ცხოვრება. მისი აღდგენა, გაჯანსაღება, განვითარება—აი ჩვენი თაობის დანიშნულება, უწმინდესი მოვალეობა, მისი აზროვნების. ზრუნვისა და თავდადების საგანი. აი ჩვენი თაობის არსებობის გამართლება. თაობა თაობას აბარებს ერს, როგორც ზრუნვისა და თავდადების საგანს და ეს მუდმივი ანდერძი ჰქმნის იმ ძლიერ სულიერს კავშირს, რომელიც ეგზომ ჯადოსნურად ანათესავებს-ასისხლხორცებს ათეულ საუკუნოთა წინ და უკან დაბადებულ თაობასთ. ეგეგე არის ქვაკუთხედი პატრიოტობისა, რითაც ეგზომ მდიდარია ჩვენი თაობა. მაგრამ, ისე როგორც ეროვნული თვითთარსებობა, პატრიოტობაც არ არის მხოლოდ გრძნობის შვილი. ჩვენმა თაობამ იგი გონებაში უნდა გადაიტანოს, აქ დაავაჟკაცოს. ანგარიშს აქაც თავისი წილი უძევს და ანგარიში კი ცივი გონების საგანია. გაქრა ის დრონი, როდესაც ეროვნულ სახელმწიფოებრიობის დაცვა, შენარჩუნება-მშენებლობა მხოლოდ ხმლითა და გუთნით იყო შესაძლებელი. დღევანდელი პირობები უფრო რთულია. ამ ენათვე მძიმეა ჩვენი თაობის მოვალეობაც. რაოდენს შრომას, ცოდნას, რაინდობას, თავდადებას მოიუხოვს იგი. ჩვენი თაობაც ამ უმძიმეს მოვალეობისათვის უნდა ემზადოს, რომ ძველ თაობათა ღირსეული მემკვიდრე გახდეს, საქართველოს დიდების ხანა შეუქმნას და მოწიწებით ისტორიულის ანდერძით მომავალ თაობას გადააბაროს.

უფსკრულის პირას აღმართ-აღმართ აღემართების ეს ეკლოვანი გზა—საქართველოს დიდებისა. მის ასავლელად შემდგარს ჩვენს თაობას მართებს გონება მწიფე და მახვილი, თვალი მჭრელი, მუხლი და მკლავი მაგარი, და სიფრთხილით ავლა იმ კლდის ფერდობზედ, რომლის ნატეხი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვმა ამ რამოდენიმე თვის წინ უპხო საფლავშიც კი მარცხენა ხელით ჩაიტანა.

ელ. პატარიძე.

ტაქტიკა და ორგანიზაცია*)

I. საკუთარი გზით

ის მუშაობა, რომელსაც ჩვენი ორგანიზაციები აწარმოებენ ამ ჟამად უთუოდ იქნება მიჩნეული ჩვენი პარტიის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისი ეტაპი. ის დაიწყო ამ სამი თვის წინეთ, როდესაც საზღვარგარეთის ცენტრალურმა ბიურომ საჯაროდ სთქვა თავისი ახალი სიტყვა 22 ივნისის კრებაზედ.

სამი თვე ფრიად მცირე მანძილია საზოგადოებრივს საქმიანობაში, მაგრამ ამ მოკლე დრომაც უკვე საკმაოდ ნათელ ჰყო ჩვენი პარტიული მუშაობის ახალი გზის ბუნება. გარეგნული მისი გამოსახულებაა ჩვენი მუშაობის გაცხოველება ყოველს დარგში, როგორც ორგანიზაციულს, ისე იდეურსა და პოლიტიკურში. ჩვენს პარტიულს ცხოვრებაში დაგუბებული იყო მოქმედების წყურვილი, მრავალი აზრები და მრავალი განცდანი, რომლებმაც გზა იპოვეს და მიძინებულ მყუდროების საზღვრები გადალახეს. ამ სტიქიონმა წალეკა ყველა წვრილმანი უთანხმოებანი რომელნიც არსებობდენ ორგანიზაციაში და მისმა მსვლელობამ თავიდანვე მიაგნო იმ კალაპოტს, რომელიც მისთვის დიდი ხნით შემზადებული იყო ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ვითარების მიერ. ეს არის საკუთარი, დამოუკიდებელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გზი.

რასაკვირველია, ჩვენი პარტია წინათაც არ ყოფილა ვინმეზედ დაქვემდებარებული და დამორჩილებული. მაგრამ ის შებორკილი იყო და შეზღუდული იმ კავშირითა და ურთიერთობით, რომელიც მას მენშევიკურ პარტიასთან, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მის მეთაურებთან ჰქონდათ დამყარებული. საქართველოს სინამდვილეში ეს შეზღუდვა არ იყო ცალმხრივი და ის არ ღებულობდა მახინჯ ფორმებს. მაგრამ უცხოეთის მუშაობის სინამდვილეში ეს ურთიერთობა, რომელსაც „საერთო ფრონტს" უწოდებდენ, მეტად მძიმე და საზარალო გამოდგა ჩვენი პარტიისათვის, ისევე როგორც ჩვენი საერთო ეროვნული საქმისათვის. არსებითად რომ ვიანგარიშოთ არც მენშევიკურ პარტიისათვის ყოფილა ბედნიერი მისი მეთაურების ასეთი გზი.

ჩვენი მოკავშირების მრუდე ბუნების გასწორება შეუძლებელი გახდა, თუმცა ჩვენ არ დაგვიზოგავს ამისათვის არავითარი სამუალება. მეტი გზა აღარ დარჩა და ამ წლის გაზაფხულზედ ჩვენმა პარტიამ თავისივე

---

*) ბ-ნ ალ. ასათიანის მოხსენება, წაკითხული საქ. ერ.-დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზედ 27 სექემბერს 1929 წ.

ხელით მოსჭრა გადაგვარებული და დამპალი ტოტი გაერთიანებული ბრძოლის იმ ხეს, რომელიც თვითონ მანვე დარგო საქართველოს მიწაზედ 1921-1922 წლებში.

ჩვენ მრავალჯერ განგვიმარტავს მიზეზები იმისა, თუ რატომ არ მოხერხდა არასოდეს ამ წრესთან პატიოსნური კავშირისა და ურთიერთობის დამყარება საერთო ეროვნულს საქმიანობაში. ამ ჟამად ჩვენ მას აღარ დაუბრუნდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს გარემოებას, რომელიც გაცილებით მეტი მნიშვნელობის ყოფილა, ვინემ ჩვენ ვფიქრობდით. ეს ისა, რომ მენშევიკურ პარტიას ფაქტიურად განაგებენ ევაკუაციით წამოყვანილი მოხელეები, 1921 წელს წაქცეული მენშევიკური რეჟიმის პენსიონერები. გასაგებია რომ ამ წრეს არ ექნებოდა ის ჯანსაღი სულისკვეთება, რომელიც საჭიროა ეროვნული ბრძოლის წარმოებისათვის. უფრო მოხელეებისა და პენსიონერების ბუნება ისეთია, რომ ისინი ერისაგან მოითხოვენ მუდამ მსხვერპლს მათი ძველი ღვაწლის ჯილდოთ, თუნდაც ამ ღვაწლს დიდი ზიანი და ნებაც მიეყენებინოს ქვეყნისათვის. ეროვნულ ბრძოლას კი სულ საწინააღმდეგო ბუნებისა და სულისკვეთების ხალხი სჭირიან: ისეთები, რომელნიც ერისაგან კი არ მოითხოვენ მსხვერპლს, არამედ თვით მიაქვთ ეროვნულს სამსხვერპლოზედ ყველივე, რაც კი მათ მოეპოებათ.

ამა წლის გაზაფხულზედ ასეთი ფრონტი დაიშალა სავსებით და საბოლოოდ, ვინაიდგან ის ვერასოდეს აღსდგება იმ სახით, როგორც წინეთ არსებობდა. ეხლა ვიკითხოთ: რა ცვლილებები შეაქვს ამ გარემოებას ჩვენს ეროვნულ პოლიტიკაში შინ თუ გარეთ?

2. საქართველოს ფარდა აეხადა.

ერთი შედეგი უკვე გვაქვს ფრიად საყურადღებო. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება შემდეგში. ეს არის მებრძოლი საქართველოსაგან პირბადის ჩამოხსნა. ეს პირბადე თავისავე ნებით ატარა მებრძოლმა საქართველომ მრავალი მიზეზების გამო. ხოლო ამის შედეგი ის იყო, რომ ბრძოლისა და საქმის მთავარი სიმძიმე, სიმწარე და მსხვერპლი ეკისრებოდათ ჩვენს წრეებს, ხოლო მენშევიკური წრეების მეთაურობა შინ და გარეთ ფაფხურით იყო გართული და ამ ბრძოლის სახელით კვეხნა ტრაბახითა და კეკლუცობით. ამის გამო დამყარდა და უკვე ცხრა წელი გრძელდება შემდეგი მომხიბლავი სურათი: ბოლშევიკები პატარა შობენ საქართველოსა და მთელს რუსეთში. მათი ყაყანი მთელს მსოფლიოს აბრუებს: რუსეთი გავაბედნიერეთ, საქართველო განვათავისუფლეთ და სამოთხედ ვაქციეთ და ეხლა მთელი კაცობრიობის გაბედნიერებას ვაპირებთო. ამ გამომაყრუებელ ყიჟინას უცხოეთში მენშევიკური კრიმანჭული ხვდებოდა: თქვენ რომელი საქართველო გააბედნიერეთ, საქართველო ჩვენია, ის ჩვენ შევქმენით და მას ვერავის დაუთმობთ, ხელი მისგანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ იძულებული ვიყავით აგვეტანა ყოველივე ეს, რაც უზომოდ აზიანებდა ჩვენს ეროვნულს ინტერესებსა და ბღალავდა ჩვენს ეროვნულს თავმოყვარეობას. საქართველო არსად სჩანდა, მის ხსენებაზედ ყველას თვალწინ ეს ბოლშევიკი და მენშევიკი უნდა აეკუდებულიყო. ჩვენ მეგობართა, თანამგრძნობთა თვალწინ ეს ბოლშევიკურ-მენშევიკური დაღი იყო გაშლილი. მართალია ამ ხნის განმავლობაში იყო მომენტები, როდესაც საქართველოს წამებული სახე წამოიჭრებოდა მთელი კაცობრიობის წინაშე. მაგრამ მას ძლიერ მალე ფარავდა ამ ბოლშევიკურ-მენშევიკური ფალავნობის დროს აყენებული მტვრის კორიანტელი.

აქამომდე რას უცდიდით? რად უფრო ადრე არ დავაღწიეთ თავი ასეთს ვითარებას? ეს არც ისე ადვილი იყო. ჩვენ ვიყავით იმ დედის მდგომარეობაში, რომლის პირმშოს გიჟი დასტაცებს ხელს და ალერსით გულში ჩაიკრავს ამ საბრალო დედამ ყოველივე უნდა მოითმინოს და აჰყვეს ამ გიჟის სურვილებს, სანამ დროს არ მოიხელთებს და მის ხელებისაგან ბავშვს არ გაანთავისუფლებს. ჩვენი ეროვნული საქმეც ასევე პოლიტიკური გიჟების ხელში იყო და ეროვნული საქართველოც უბედურ დედასავით ამ გიჟებს თავზედ ხელს უსვამდა, რომ უარესი აეცდინა. მეცხრე წელს ყოველივე ეს დასრულდა. რის დაშავება შეეძლოთ, უკვე დაუშავეს ამ ეროვნულ საქმეს. ის სულს ღაფავს მათს ხელში და მისი დახსნა და მოსულიერება ძველი გზით აღარ მოხერხდება.

დადგა დრო, როდესაც შეწყდა ასეთი სიმახინჯე და ეს მოხდა ყველა ჩვენი საღად გაგებულ ინტერესების კარნახით. ამ ორს მოდავე პატიოსან გვამებთან ერთად უნდა გამოჩნდეს თვით დავის საგანი—საქართველო. ის უნდა გამოჩნდეს მთელი თავის რეალობით, მთელი მისი არსებობით, მთელი მისი მისწრაფებებითა და ზრახვებით. ის უნდა გამოჩნდეს მის ზურგს უკან გამწკრივებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალ საუკუნეებით. ის გარშემორტყმული უნდა იყოს ყველა ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების იარაღებ თ, რომელიც კი შეუქმნია მას და მოუპოვია. არ უნდა იყოს დაფარული მის მიერ გაღებული მსხვერპლი და თავის სახელმწიფოებრივი არსებობისათვის გადახდილი ბრძოლები. ეს იქნება არა მარტო სინამდვილე და სიმართლე, არამედ ეს იქნება აგრეთვე ფრიად სასარგებლო საქმე ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის. ვინ უნდა იწამოს საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის შესაძლებლობა, უკეთუ ის ბოლშევიკსა და მენშევიკს გარდა ვერავის იხილავს ამ საქართველოს ბრძოლის საქმეში? ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წრეების გამოსვლა ჩრდილიდან დაანახვებს ყველას, რომ მართალია არსებობს ბოლშევიკური საქართველო, მაგრამ ეს არის ცხოვრების ზედაპირი, კვამლი და მტვერი რუსეთის ჯარების ქუსლთაგან აყენებული. და აქაც არის მენშევიკური საქართველო და ეს არის კოკორ წართმეული და ატირებული ბალღი. ხოლო იქ იმ ბოლშევიკურ თარეშობის ქვეშ არის ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო, მრავალ საუკუნეებით დასერილი, მრავალჯერ ნაწამები, მაგრამ მუდამ მტკიცე და მებრძოლი და აქაც ამ მენშევიკურ მტირალასთან ერთად მოიპოება იმ საქართველოს გამოძახილი, მისი ნაკადი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი მიზნებით აღჭურვილი და მისთვის მებრძოლი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი მონათესავე წრეების დადგომა ამ საკუთარი პოლიტიკის გზაზედ მტკიცედ და გაბედულად მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის ყოველს პირობებსა და ყოველს გარემოებაში. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საქმის გამარჯვება მოახლოვებულია. მაგრამ მკითხაობას ნუ შეუდგებით და ზოგადათ ვთქვათ, რომ ჩვენი ეხლანდელი გეზი სავსებით სრულად ანგარიშობს ყველა შესაძლებლობას და გარემოებას. კარგს პირობებს ის მაქსიმალურად გამოიყენებს და ცუდ პირობებსაც მაქსიმალურად მცირე ზიანს მიაყენებინებს. ის რეალურის გზით მიდის, თვალხილული ანგარიშიანობის გზით და ის ყოველთვის უფრო მალე და ნაკლების მსხვერპლით მიაღწევს თავის მიზანს.

3. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძალების შემოკრება

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი საფეხურია ჩვენთვის. ეს მხოლოდ გაწმენდაა იმ ასპარეზის, რომელზედაც უნდა გაიშალოს ჩვენი ბრძოლა და ჩვენი მუშაობა. ამ ბრძოლისა და მუშაობის მიზანი ყველასათვის ნათელია, ეს არის საქართველოს სუვერენობის აღდგენა. მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენა კიდევ არ არის საკმარისი, საჭიროა სახელმწიფოებრივობის დამყარება. ჩვენ გვინდა სუვერენული სახელმწიფო, ჩვენთვის ეს განუყოფელია და ამის გამო ჩვენს ბრძოლასა და მუშაობაში ეს ორი მხარე ერთი საგნისა არასოდეს არ უნდა იყოს დავიწყებული. სამწუხაროდ ჩვენ ეს ვერ დავიცავით გასული წლების მანძილზედ. ჩვენ ვქმნიდით მებრძოლ ძალების კავშირებს, სხვა და სხვა გაერთიანებულ ორგანიზაციებს. ამ კავშირში თავს უყრიდით ყველას, ვინც კი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე. სინამდვილემ დაგვანახა და მწარედაც დაგვანახა, რომ ეს დამოუკიდებლობის მომხრეობა არ იყო საკმარისი საზომი და საბუთი. ყველა მის მომხრეობას იჩემებდა, ყველა მაზედ ფიცულობდა, ხოლო როცა სიტყვა საქმეზედ მიდგა, გამოირკვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ბევრს ისე ესმის, რომ ეს დამოუკიდებელი საქართველო უნდა გახდეს მათი „იაჩეიკის" საუფლისწულო მამულად. იქიდან ყველა უნდა იყოს გადენილი, ან ყმად გამოცხადებული. ერთი სიტყვით ამ „იაჩეიკის" არა მორჩილნი იქ არ უნდა იყონ „გაპაპანებული" როგორც ამის ასე მჭერმეტყველად უკარნახებდნენ ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი თავის აგენტებს 1927 წლის ზაფხულს საქართველოში გაგზავნილს წერილებში. მწარე მაგალითებმა საკმაოდ გამოამჟღავნეს ასეთი ელემენტების სახე, ბუ-

ნება და რაოდენობაც. ღვთის მადლით ბევრი არ არიან. ისინი ველარ გახდებიან ახალი მებრძოლი ეროვნული კავშირების მონაწილეთ. წაქცეულ სახელმწიფოს აღდგენისათვის საბრძოლველად მხოლოდ ისეთი წრეები გამოდგებიან, რომელნიც სახელმწიფოებრივად აზროვნებენ და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმთავრესი ზნე და ხასიათი აქვთ შეთვისებული და მიღებული. ასეთი საზომის მიღება არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ სოციალისტური აზროვნების მექონნი მისგან ამოშლილი იქნებიან ერთიანად. სოციალისტური პოლიტიკა და აზროვნება ხშირად აბერხებს სახელმწიფოებრივი გზის შერიგებასა და ამ გზით მუშაობას თავის მიზნების მისაღწევად. მაკდონალდს, სნოუდენს, ჰენერტს თუ მიულერს ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეებათ ვერვინ მიიჩნევს მიუხედავათ იმისა, რომ ისინი სოციალისტები არიან. ამასთან ერთად არა სოციალისტურს წრეებშიც ბლომად მოიპოვებიან აწყვეტილი, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა პირობებს გადაცდენილი ელემენტები.

მებრძოლი ძალების ასეთი გადარჩევა ჩვენ მიერ რასაკვირველია, არ არის გ მოწვეული ვინმესადმი მტრობითა და მძულვარებით. არსებითად ჩვენ დაუბრუნდებით იმ გეზს რომელიც საღი ინსტიქტით აღებული გვქონდა თავიდანვე, განმანთავისუფლებელი ბრძოლის დაწყების ხანაში. საქართველოში ასეთი გეზი აიღო ჩვენმა პარტიამ ხელ-ახლა 1925 წლიდან. სოციალისტურ წრეებიდან მხოლოდ ისეთებს იკავშირებენ, ვისთანაც პიროვნული ნდობა აქვთ. უიმედო იქნება ჩვენის მხრივ ცდა, რომ ეს ჩვენი წრეები კვლავ გადავაბათ მენ ევიკურ ჯგუფებს, განურჩევლად იმისა თუ როგორი ბუნება და ხასიათი გამოამჟღავნეს მათ ამ უკანასკნელ საბედისწერო წლების მანძილზედ. ასეთი უიმედო შეკავშირების მოწყობა რომ დავიწყოთ, ვერას გავხდებით იმის მეტს, რომ ყოველად ადანსაღ და საიმედო ძალებსაც დავკარგავთ და ბრძოლის საქმეს დავაშავებთ.

4. კავკასიური კავშირი.

ეს იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანი მომავალი ჩვენი მუშაობისა. გასაგებია, რომ კავკასიურ ძალთა გაერთიანება გაცილებით მეტს შესაძლებლობას შეუქმნის კავკასიის ერთა განთავისუფლების საქმეს, ვიდრე ეხლანდელი დაქსაქსულობა და დაშლილობა. კავკასიის მებრძოლ ერთა მტკიცე კავშირი დაახლოვებს ამ ერთა სუვერენობის აღდგენას, მაგრამ მათი კავშირი ამით არ უნდა დასრულდეს, უკეთუ ჩვენ გვინდა უზრუნველვყოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა მტკიცედ და სავსებით. ევროპის უძლიერესი სახელმწიფოებიც კი ბჭობენ მუდმივი სახელმწიფოებრივი კავშირის, კონფედერაციის შექმნის საჭიროებაზედ. ხოლო კავკასიის ერთა კავშირის აუცილებლობაზედ ღაღადებს ამ ერთა ყველა ინტერესები, ეკონომიური თუ კულტურული და მათი ისტორიის ყველა საუკუნეები.

ასეთი მიზნები უკარნახეს ჩვენს ერს იმ სახელოვანმა მესამოციანე-ებმა, რომელთაც დააფუძნეს და დაამყარეს საქართველოს ახალი ეროვნული ცხოვრება. მათ კარგათ ჰქონდათ შესწავლილი და ნაანგარიშევი ყოველივე რაც კი შეეხებოდა ჩვენი ეროვნული საქმის განმტკიცებასა და გაძლიერებას კავკასიელ მეზობლებთან კავშირი საერთო ეროვნულ მიზნების მისაღწევად და შემდეგ მუდმივი სახელმწიფოებრივი კავშირი—კონფედერაცია საერთო თავისუფლების დასაცავად და განსამტკიცებლად—აი როგორი იყო მათი გეგმა. მათ შემდეგ ეს საქმე წინ არ წასულა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ მიზნების განხორციელებისათვის ფრიად კარგი პირობები გვქონდა 1917-21 წლის განმავლობაში. კავკასიის ერთა მეთაურებმა ვერ გამოიჩინეს ამ საკითხში სათანადო წინდახედულობა და ანგარიშიანობა. მხოლოდ 1924 წლის შემოდგომაზედ დაიწყო პრაქტიკული მუშაობა ამ საგანზედ. ეს ხდება ჩვენი პარტიის თაოსნობითა და ენერგიული მონაწილეობით. შემდეგ მენშევიკური მეთაურობაც ჩაერია ამ საქმეში და ამის შედეგი ის არის, რომ ყოველივე თავიდან დასაწყები ხდება. ეს ხალხი თითქოს მთელს კაცობრიობას აერთებს თავის ინტერნაციონალში, ხოლო მეზობლებთან შეთანხმებისა და კავშირის მოწყობა არ ეხერხება. პირველი ცდის ასეთი შედეგი ჩვენ არ უნდა გვგვრიდეს უიმედობას. ყოველივე გამოსწორდება და იმედია ისე საფუძვლიანად, რომ მისი შეფერხება არავის შეეძლოს ასე წარა-მარათ.

5. ახალი ჯგუფები: ბრახუნისტები და ჩურჩულისტები.

სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენმა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებამ დიდი ცვალებადობა განიცადა ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. სოციალისტურად წოდებული პარტიები რომ ქრებიან ეს სავსებით გასაგებია. გასაკვირველი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ასე ფართედ იყვენ მოდებული ჩვენს ცხოვრებას ამ 25 წლის მანძილზედ. ხალხმა გაიცნო და თავის ზურგზედ გამოსცადა სოციალისტური პოლიტიკის ყველა ნიმუშები ამ პოლიტიკისაგან მოგებული არავინ სჩანს გარდა ზოგიერთი ბელადებისა, ხოლო წაგებული მთელი ერია, მთელი ხალხი. სავსებით გასაგებია, რომ ასეთს პოლიტიკას ყველა მტრულად უყურებს და გლეხობა პირველს რიგში. თავის ბედნიერი მოღვაწეობის ასეთმა შედეგებმა შეაშფოთა სოციალისტური პოლიტიკის მოპიქულები, ხოლო ხალხის რისხვამ ისინი დააფრთხო და აქეთ-იქით გააბნია. უმრავლესობამ მაინც გაიკვლია გზა და ბოლშევიკების კარს მიადგა, რადგან იქ სოციალისტური სახელიც ეგულებათ და სოციალისტური სახრავიც. ვინც შერჩა თავის სახელოვან დროშას, ისინი მკითხაობენ და მკვდარი სულების თვლით არიან გართული—წინეთ ასეთი ძლიერი ვიყავით, ამოდენა ხმემი შივიღეთ არჩევნებში, ამდენი კაცი ჩაეწერა ჩვენს პარტიაშიო და სხ. ამათ ასავალ-დასავალს ვერავინ გაიგებს. რა მიზნები აქვთ, რა გეგმები, ან და რა გონიერი გეგმები უნდა ჰქონდეს ამ ათასჯერ გზა დაბნეულ ხალხს?

საფუძვლიანი და რომ ის საუკეთესოდ აკმაყოფილებდეს მ.ელი ერის ყველა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს—სულიერსა თუ ქონებრივს, საჭიროა, რომ თვით ხალხი აღიზარდოს და ამაღლდეს კულტურულად და ეკონომიურად და მაშასადამე პოლიტიკურადაც. ამისათვის კი საჭიროა მრავალფეროვანი მასსიური შრომა და შემოქმედება და არა ბრახუნიზმი და ჩურჩულიზმი.

6. ორგანიზაცია.

ჩვენი შინაური და საგარეო მუშაობის ამოცანები უძირო ზღვას წარმოადგენს, ხოლო ჩვენი შესაძლებლობანი ძალზე განსაზღვრულია. მაგრამ დიდი საქმეა და დიდი ხელოვნება ამ ძალების ისე გამოყენება, რომ მან მაქსიმალური ნაყოფი გამოიღოს. ეს შეიძლება მხოლოდ მწყობრი და დალაგებული მუშაობით, რომლის მისაღწევად მტკიცე ორგანიზაციისა და სისტემის შექმნაა საჭირო. ამ მიმართულებით დიდი მეცადინეობა გვმართებს. ყოველივე ჩვენს წინააღმდეგაა მომართული, ყოველივე ჩვენ გვაბრკოლებს, მაგრამ ჩვენ უნდა გადავლახოთ ყოველივე ეს, რადგან ჩვენი პარტია ერთად-ერთი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა საქართველოს სინამდვილეში და მისი პოზიციებიდან მოხსნა უდიდესი მარცხი იქნებოდა ამ ეროვნული სახელმწიფოებრივობისათვის. როდესაც ერი მოკლებულია სახელმწიფოებრივ არსებობას, ეროვნული სახელმწიფოებრივი მიმართულებანი ასრულებენ სახელმწიფოს მაგიერობას შესაძლებლობის ფარგლებში დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი ერისა ასეთია და ჩვენი პარტიის როლიც ასეთი ბუნებისაა.

ჩვენი პარტიის შედგომა დამოუკიდებელი პოლიტიკის გზაზედ დიდ ხელიშეს იწვევს მის წინააღმდეგ. საიდან არ გვივლიან, საიდან არ გვიტევენ? იმ ზომამდე მიდიან, რომ თითო-ოროლა მერყევ წევრს გვიძებნიან და მათს გადაპირებაზედ თავს იტეხენ, ათასი აღთქმითა და ათასი დაპირებით. ამ ხალხს ისიც ვერ შეუგნია, რომ ჩვენი პარტია სულ სხვა მდგომარეობაშია, ვიდრე ვთქვათ მენშევიკური, რომელსაც ახალი ძალები აღარ ემატება და ამის გამო ყოველი წევრის გამოკლება მისთვის სამძიმოა. ამ მოკლე ხანმი ჩვენ თვითონ მოვახდენთ ორგანიზაციების გაწმენდას და შეიძლება თვითონ ჩვენ გაუგზავნოთ მათ ასეთი მერყევები, უკეთუ ისინი აღმოჩნდენ. მაგრამ ესეც არ არის მთავარი. ჩვენებური სოციალისტური პარტიების ძალა მხოლოდ ის არის, რაც მათს პარტიაშია ჩარიცხული. ხოლო პარტიის გარეშე მდგომი ყველა წრეები და მთელი ერი მათ უპირდაპირდება და მტრულადაც უცქერის. ჩვენი პარტიის ბუნება და მდგომარეობა სულ სხვა გვარია. პარტიაში ჩარიცხულნი მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს იმ ფართე მიმდინარეობისა, რომელიც ერთი აზრებითა და შეხედულობებით არის გამსჭვალული პოლიტიკურისა და სოციალური საკითხების შესახებ. ამის გამ ჩვენი პარტიისათვის უფრო მოხდენი-

ლია და შესაფერი ამ მასსასთან შედარებით მცირე რიცხოვანი, მაგრამ მტკიცედ შეკრული ორგანიზაციები, რომლებიც საკამანდო როლს თამაშობენ ამ მრავალ რიცხოვან მიმდევრებისათვის. ასეთია ბუნება ჩვენი ორგანიზაციისა ყოველთვის და ყოველგან. მშვიდობიანობის ხანაში ის ინსტრუქტორი უნდა იყოს და გზის მაჩვენებელი და საქმიანი მეთაოსნე პოლიტიკურისა და ეკონომიური ცხოვრების ყოველს დარგში. 1921 წლიდან მას მეორე ხასიათის საქმე ჰქონდა დაკისრებული: ის მებრძოლი ერის პოლიტიკური და სამხედრო სარდლობა იყო, ყველა დაბა-სოფლებში გაბნეული მებრძოლი ხელმძღვანელობა. ამ ხანამ შეიტანა ჩვენს ორგანიზაციულს წყობაში ზოგიერთი ცვლილებები, რომელიც მკაცრ ცენტრალიზაციასა და მკაცრ დისციპლინას ამყარებდა. ასეთი წესები სავალდებულო იქნება ასეთს პირობებში, ხოლო მშვიდობიანს ხანაში მისი შეცვლა აუცილებელი იყო—და ასეც მოხდა. ეხლანდელი ჩვენი ორგანიზაციული წყობა წარმოადგენს ამ ორი წყობის სინტეზს და ის მხოლოდ წვრილმან ცვლილებებს მოითხოვს საომარსა და სრულიად მშვიდობიანი ცხოვრების ხანაში. 1925 წლიდან საქართველოში მოახდინეს ჩვენმა ორგანიზაციებმა ეს ცვლილებები და უკანასკნელ წელს ეს უცხოეთშიც დავამყარეთ სავსებით. ცვლილებები მხოლოდ გარეგნული არ არის—ბიუროები, გენ. მდივანი და სხ. წინანდელს ჩვენს წყობაში კომიტეტები მეტად სრული უფლებებით სარგებლობდნენ. ისინი ფარავდენ ქვევით ორგანიზაციას და ზევით მაღლა მდგომ ორგანოს. ეხლა ხდება მათი განტვირთვა. მისი უფლებების დიდი ნაწილი ორგანიზაციაში გადადის, ხოლო რაც მას უფლებები ჰქონდა და ეხლაც აქვს ადმინისტრატიულ სფეროში აქ ის უფრო მტკიცედ ექვემდებარება ცენტრს. ამ რიგად ფართოვდება ორგანიზაციათა უფლება. ის სრული უფლებებით სარგებლობს ორგანოების შექმნისა და მათი მოღვაწეობის კონტროლის საქმეში, ხოლო რაც შეეხება გამგეობას, აქ ბიუროების უფლებები ისეთივეა, როგორიც იყო წინეთ, ხოლო უფრო მტკიცედ არის გატარებული ქვემო ორგანოს ზემო ორგანოდან დამოკიდებულება და დაქვემდებარება. ამის გამო ადმინისტრატიული ცენტრალიზმი უფრო მწყობრად არის გატარებული. მიღებული ცვლილებები უკვე ტარდება ცხოვრებაში და მისი დადებითი შედეგების მიხედვით შემუშავებულია სრული ორგანიზაციული წესდება, რომელიც დამტკიცებული იქნება მახლობელს დროში.

7. ძალა-უვლების საკითხი.

ჩვენ აღვნიშნეთ უმთავრესი ხაზები ჩვენი მუშაობისა. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ამ მუშაობის დროს ჩვენი უფრო შორეული მიზნები, ხოლო ყოველთვის თვალწინ უნდა გვედგას ის საფეხურები, რომლებსაც მივყევართ ამ მიზნებისაკენ. ხოლო ბევრს ემართება და შეიძლება ჩვენც დაგვმართნია, რომ შორეული მიზანი მუდამ გვახსოვდა, ხოლო მახლობე-

ლი ამოცანები ხშირად გვავიწყდებოდა თუ უყურადღებოდ გვრჩებოდა.

ჩვენი მუშაობა ისე უნდა იყოს აგებული და ისეთი საფეხურები უნდა იყოს მოახაზული ამ ზორეულ მიზნებთან მისასვლელად, რომ მისი განვლა ჩვენ უნდა შეგვეძლოს საკუთარი ძალით, საკუთარი ფეხებით და ეს უნდა შეგვეძლოს ყოვლად ცუდს პირობებში. თუ ბედი გაგვიღიმებს, ხელშეგვიწყობა და მხრებში ამოგვიდგება, მაშინ ხომ დიდი ნახტომებით გადავირბენთ ამ საფეხურებს, ხოლო თუ ეს არ მოხდა ნელის ბიჯებით გაუდგებით ჩვენს გზას.

მაგრამ რომელი ნაბიჯებით არ უნდა მიუახლოვდეთ სამშობლო მიწა-წყალს, ჩქარისა თუ ნელის, ერთს საკითხში ჩვენ უკვე მიღწეული გვაქვს უმაღლესი საფეხური და ამ საკითხშიაც ჩვენ არ უნდა ჩამოვცოცდეთ ძირს, რომ თავიდან დავიწყოთ მაღლა ასვლა. ეს საკითხია ძალა-უფლების საკითხი. ამ საკითხში ჩვენი განზრახვა ნათელი უნდა იყოს და არც არის მისი დამალვა—დაე იცოდენ ყველამ, მტერმა და მოყვარემ. წინააღმდეგ ამისა, ყველამ გაიგოს და ეს მათთვისაც არის სასარგებლო: თავის კალაპოტს მოძებნიან და ამ კალაპოტში მოთავსდებიან, თავის მოღვაწეობას შეაფასებენ და თავიდან ფეხებამდე დაათვალიერებენ, განვლილ გზაზედ მიიხედავენ და იქ დანატოვარ ღვაწლს დაითვლიან, შემდეგ ირგვლივაც მიიხედ-მოიხედავენ და სხვასაც გადაავლებენ მოწყალების თვალს. მხოლოდ ამ გზით შეუძლიანთ მათ საკუთარი მნიშვნელობისა თუ არარაობის შეგნება.

ამიტომ ჩვენ მტკიცედ და ახდილად ვაყენებთ ამ საკითხს ქვეყანა და ხალხი დაიქცა, გაღატაკდა, ფიზიკურად ნადგურდება, სულიერად ეცემა. მის წამებას ბოლო უნდა მოეღოს, უნდა დამყარდეს ისეთი წყობა, რომელიც უზრუნველყოფს მის ფიზიკურ არსებობას და განვითარებას. ბოროტი ექსპერიმენტების ხანა უნდა დამთავრდეს, მშვიდობიანი შრომისა და შემოქმედების ხანა უნდა დაიწყოს. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების შექმნილია და დაფუძნებული ყოველივე ის, რაც შეადგენს ჩვენი ეროვნული ცხოვრების საფუძველს და ის განაგრძობს მის შენებას და დანგრეულის კვლავ აშენებას და შეკეთებას. ეს მხოლოდ მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფარგლებში მოხერხდება და ის ამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების სადავეებს აიღებს ხელში, რომ ეს მშვიდობიანი ეროვნული და დემოკრატიული პოლიტიკა დაამყაროს. მენშევიკურსა და ბოლშევიკური რეჟიმის შემდეგ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობის დამყარება მიუცილებელზედ მიუცილებელია და ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და მუდამ უნდა ვანგარიშობდეთ, რომ განთავისუფლებულ საქართველოში ჩვენ ასეთ და მხოლოდ ასეთს სახელმწიფოებრივობას ვამყარებთ.

პარიზის ორგანიზაციის დადგენილება

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციამ მოისმინა საზღვარ-გარეთის ცენტრალური ბიუროს გენერალური მდივნის ბ. ალ. ასათიანის მოხსენება ტაქტიკურ და ორგანიზაციული საკითხების შესახებ, 27 სექტემბ ის საზოგადო კრებაზედ.

კრება ერთსულოვნად ადასტურებს ცენტრალური ბიუროს შეხედულებებსა და განზრახვებს, რაც უდავო დასკვნაა საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის ეხლანდელი ვითარებისა. ჩვენი პარტ ა ერთსულოვნად დაადგა დამოუკიდებელი პოლიტიკის გზას, საქართველოსა და უცხოეთში და პარიზის ორგანიზაციას მტკიცედ სწამს, რომ ჩვენი პარტიის ამ ხაზით მუშაობას ისევე ნაყოფიერი შედეგები ექნება საერთო ეროვნული საქმისათვის, როგორც მას აქვს პარტიულ ძალთა დარაზმულობისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პ ოლიტიკა სავსებით გაამართლა ცხოვრების მიმდინარეობამ, როგორც წარსულში. ისე თანამედროვე ბრძოლის ხანაში. ამით აიხსნება რომ ჩვენს პარტიაში არ არსებობს რაიმე იდეური უთანხმოება და აზრთა სხვა და სხვაობა, ხოლო თუ საზღვარ-გარეთის ორგანიზაციებში ჰქონდა ადგილი ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში ზოგიერთ უთანხმოებას ტაქტიკურსა და ორგანიზაციულს საკითხებში, ამ ჟამად ესეც დაძლეულია და მისმა ლიკვიდაციამაც ბიაღწია თავის ორგანიზაციულს დასასრულს.

ჩვენი პარტიული წრეები ერთსულოვნად თანაუგრძნობენ ყველა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალების შემოკრებას ჩვენი მიმართულების გარშემო და მის დაკავშირებას კავკასიის სხვა რესპუბლიკათა ეროვნულ ძალებთან. ასეთი კავშირი მოგვიახლოვებს საქართველოსა და მთელი კავკასიის განთავისუფლებას უცხო უღლისაგან და ამასთან ერთად ჩაუყრის მტკიცე საფუძველს კავკასიის რესპუბლიკათა პოლიტიკურად შეკავშირების საქმეს კონფედერაციის საფუძვლებზედ.

საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის პირობებში შეტანილ იქმნა ზოგიერთი ცვლილებები ჩვენს წინანდელს ორგანიზაციულს წყობაში და ამ ცვლილებების სისწორე და მიზანშეწონილობა სავსებით გაამართლა ცხოვრებამ. ის შეიცავს პარტიული მართველობის მტკიცე ცენტრალიზაციას და მის დამყარებას მტკიცე დისციპლინაზე. ამავე დროს ეს წყობა ფართედ უხსნის გზას წევრთა თვითმოქმედებასა და ინიციატივას, რაც აუცილებელი პირობაა მასსების პოლიტიკურად აღზრდისათვის.

ცენტრალური ბიუროს ნაყოფიერი მუშაობა ამ გზითა და ამ მიმართულებით ერთსულოვან თანაგრძნობას იწვევს ყველა ჩვენს ორგანიზაციებში და პარიზის ორგანიზაციაც აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებასა და მხარის მიცემას.

საბოლოო განმარტება

ჩვენი პარტიის მტრებმა დაუსრულებელი ჭორებისა და ბოროტი ინსინუაციების წყაროდ გაიხადეს ყალბი ჩერვონცების საქმე, რომელიც გერმანიაში იქმნა აღმოჩენილი და ამ ქამად სასამართლოს განხილვის საგანს შეადგენს. ასეთი მუშაობა ააგეს მათ იმ გარემოებაზედ, რომ ყალბი ჩერვონცების ამ საქმის გამო სამართალში იყო მიცემული შ. ქარუმიძე, თუმცა ამ ბინძური კომპანიის მეთაურებმა კარგათ უწყიდენ არა მარტო ის, რომ შ. ქარუმიძე აქტიური წევრი იყო წარსულში ეროვნულ-დემოკრ. პარტიისა, არამედ ისიც, რომ 1924 წ. გაზაფხულიდან ის ამ პარტიის არც ერთს ორგანიზაციაში არ ირიცხება.

საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა წესების მიხედვით პარტია ვერ დაიკისრებს პასუხისმგებლობას თავის წევრის ასეთი მოქმედებისათვის, რომელიც ხდება ორგანიზაციის დავალებისა და სურვილის გარეშე. მაგრამ ხშირია შემთხვევები, რომ პარტიის წევრის მიერ კერძოდ განზრახული და ნაწარმოები საქმე დიდს ზიანს აყენებს ორგანიზაციას იმის გამო, რომ ხანგრძლივად ახვევს მას იჭვებისა და მითქმა-მოთქმის ქსელში. ამის გამო ჩვენ გვმართებს აღვნიშნოთ სრულის კმაყოფილებით, რომ ჩვენი ორგანიზაციის არც ერთი წევრი არ არის ბრალდებული ამ საქმეში, როგორც ეს საბოლოოდ გამოარკვია გერმანულ სასამართლოს გამოძიებამ.

ჩვენი პარტიის ყველა ორგანიზაციებმა ჯერ კიდეკ გასულს წელს ვამოიტანეს თავისი დადგენილებანი ყალბი ჩერვონცების საქმის შესახებ. ამ დადგენილებებში ერთის მხრივ კატეგორიულად იყო დაგმობილი და უარყოფილი ეს კონკრეტიული შემთხვევა და მეორეს მხრივ გამოცხადებული იყო ჩვენი პარტიისა და მიმართულების შეხედულება საზოგადოთ მსგავსი საქმეების მიმართ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ ერთხელ კიდევ საბოლოოდ და კატეგორიულად ჩვენი პარტიისა და მიმართულების ურყევი შეხედულება ასეთი საქმეების შესახებ. ასეთი გაფრთხილება არასოდეს იქნება ზედმეტი, რადგან ყალბი ფულების საქმეს ერთნაირად არ უდგებიან სხვა და სხვა პოლიტიკური მიმდინარეობები და ისეთი მაგალითებიც არის, რომ მისთვის მიუმართავთ პოლიტიკურს ბრძოლაში და ომების დროსაც. ეს გარემოება დიდათ ამცირებს ასეთი საქმეების უარყოფით მხარეებს პოლიტიკურად გაუწვრთნელი წრეების თვალში და ზოგიერთები მას პოლიტიკური ბრძოლის ჩვეულებრივ იარაღადაც სახავენ.

ცნობილია, რომ რევოლუციონურ ანტისახელმწიფოებრივ პარტიებს არა ერთხელ გამოუყენებიათ ყალბი ფულები პოლიტიკურს ბრძოლაში ისევე როგორც მრავალი სხვა ისეთი საშუალება, რომელიც ასუსტებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და აზიანებდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმთავრეს საფუძვლებს, ზნეობრივს, უფლებრივსა და ეკონომიურს. ამ წრეებისათვის არ არსებობს სახელმწიფოებრივი საფუძვლების დაზიანების საშიშროება, ვინაიდგან ამ საფუძკლების დაქცევა თავის თავადაც შედის მათს განზრახვებში. სახელმწიფოებრივი მიმართულების მიდგომა ამ საკითხისადმი სავსებით საწინააღმდეგოა. ის მუდამ უარყოფს ბრძოლის ისეთს საშუალებებს, რომელიც სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლებს არღვევს და ასუსტებს. მაგრამ არც ამ ანტისახელმწიფოებრივ ჯგუფებისათვის მოუტანია დიდი ბედნიერება ყალბი ფულების ოპერაციას. მისი გამოყენების მაგალითებმა გამოარკვიეს მისი ბუნება—ის საშიში იარაღია იმათთვის, ვის წინააღმდეგ ის არის მიმართული, მაგრამ კიდევ უფრო საშიში იარაღია იმათთვის ვინც მას მიჰმართავს და იყენებს. ის თავიდანვე ზნეობრივად ჩრწნის იმ ჯგუფს, რომელიც მას აწარმოებს და ამის გამო მისი ფართედ გამოყენებაც შეუძლებელი ხდება. მაგრამ ომების დროს თუ ჰქონია ასეთს საქმეებს შედარებით უფრო დიდი სარბიელი, ეს აიხსნება იმით, რომ მეომარ სახელმწიფოებს სულ სხვა პირობები და შესაძლებლობები აქვსთ, ვიდრე კერძო ჯგუფებს. სახელმწიფო აყალბებს თავის მოწინააღმდეგის ფულს და ამ მოწინააღმდეგის ყოველმხრივი წაქცევა მის ამოცანას შეადგენს. სულ სხვა მდგომარეობაშია ის ჯგუფი, რომელიც აყალბებს თავისივე ხალხის ფულს და თავისივე ხალხში ავრცელებს მას. მეორეს მხრივ სახელმწიფო, რომელიც თვითონ არის ყოველივე საქმის დამკანონებელი და გამმართლებელი მრავალს ისეთს საშუალებას მიჰმართავს ომის დროს, რომ პარტიებსა და ჯგუფებს არ შეუძლიანთ მათი გამოყენება.

მაგრამ პოლიტიკურმა წრემ კიდევაც რომ დაივიწყოს ყოველი ის ზიანი, რომელსაც მიაყენებს მას მომავალში ასეთი საშუალების გამოყენება და იხელმძღვანელოს მხოლოდ ვიწროდ შემოფარგლულ მახლობელ ამოცანებით, ყალბი ფულების გავრცელება, მაშინაც არ იქნება მისთვის ადვილად გადასაჭრელი, რადგან ფრიად ძნელია გამოსარკვევია თუ ვის მეტად დააზიანებს ის ამ ვიწრო მახძილზედ—მებრძოლ ერს და პარტიას, თუ მათს მტრებს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით მრავალი ყალბი ცნობები იყო მოთავსებული უცხოეთის გაზეთებში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და კერძოდ ჩვენი პარტიის შესახებ. სხვათა შორის გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანომ «ფორვერტსმა» ჩვენი პარტია უკიდურესად მემარჯვენე მიმართულებათ გამოაცხადა და არც ის გარემოება დაივიწყა, რომ ეს ჩვენი პარტია ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული ყოფილა საქართველოს ცხოვრებაში. ყოველივე ამას გაზეთმა დასძინა ინფორმაცია გრ. ვეშაპელის მკვლელობის შესახებ და ქვეყანას ამცნო, რომ „1926 წელს პარიზში ქართველმა ნაციონალისტმა მოჰკლა გრიგოლ ვეშაპელიო“ («ფორვ.» 23-7-29).

არავისათვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ვეშაპელის მკვლელმა, მერაბიშვილმა ახდილად განაცხადა სასამართლოს წინაშე, რომ ის არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატი. «ფორვერტსმა» უთუოდ არ უწყიდა ეს თორემ სოციალისტური გაზეთი სოციალ-დემოკრატს ნაციონალისტს არ უწოდებდა. ვინაიდან არც ერთ სხვა ქართულ პარტიის სახელწოდებაში არ მოიპოება სიტყვა ნაციონალური, გასაგები, რომ «ფორვერტსის» ასეთი გარმარტება ჩვენს პარტიას მიაკუთვნებს ფართე საზოგადოების თვალში ვეშაპელის მკვლელობას. ამის გამო ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განუმარტოთ ამ ყამად პატივცემულს გაზეთს, რომ ეროვნულ-დემოკრატიას ტერორის გზით არ უწარმოებია თავისი მუშაობა წარსულში და არც მომავალში ჰფიქრობს ამ გზით სიარულს. ხოლო რაც შეეხება ჩვენი პარტიის უნიადაგობას, ამის შესახებაც ასევე მოკლედ მოვახსენებთ მას, რომ ამ „უნიადაგო" მიმართულებისა და პარტიის დამყარებულია უკანასკნელი 60 წლის მანძილზედ ყოველივე რაც კი დადებითი დაფუძნებულა საქართველოს ეროვნულს ცხოვრებაში კულტურული და ეკონომიური. ეს ადვილი დასაჯერებელი არ იქნება მტკიცე სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფარგლებში მოღვაწე ევროპიულ პარტიების მუშაობის მიხედვით, ხოლო თუ პატივცემული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი დაინტერესდება ამ საკითხით, ჩვენი ორგანო სიამოვნებით მიაწოდებს მას ყოველგვარ მასალას ამ საგანზედ, და არა ვინმეს ზურგს უკან და საიდუმლოთ, როგორც ამას შვრებიან „ფორვერტსის" ინფორმატორები, არამედ სავსებით ახდილად და საჯაროთ.

საბ. საქართველოში

1. ქომუნისტური პრესსა.

ქართული ემიგრაციის გამოცემები უყურადღებოდ სტოვებენ საბჭოთა პრესსას და ეს დიდი შეცდომაა. ეს პრესსა უთუოდ მნიშვნელოვანი საშუალებაა საქართველოს თანამედროვე ყოფა-ცხოვრების შესაგნებად და მისი სრულიად გვერდის ახვევა არ არის მიზანშეწონილი. მართალია ეს პრესსა მეტად ცალმხრივია და თავის წითურ საღებავებით ხატავს ცხოვრების ყველა მოვლენებს, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი ადვილად ამჩნევს ამ საღებავების ქვეშ ცხოვრების ნამდვილს სურათებს. კომუნისტურ მწერლობას ლექსიკონიც საკუთარი აქვს შედგენილი. ამის გამო მათი მსჯელობა ქარაგმებს მოგაგონებსთ. ცხოვრების მრავალ საგნებისა და მოვლენების ძველი სახელები გაუქმებულია და მათ მაგიერ ახალი სახელები აქვთ მითვისებული. მაგალითად გლეხის მაგიერ ისინი „კულაკს" იხსენიებენ, მუშის მაგივრად პროლეტარს, საბჭოთა წყობილების მოხე-

ლეებს კომუნისტებს უწოდებენ, ხოლო ვინც მოხელე არ არის, მათ სპეკულიანტებს, ბურჟუაზიას და კონტრრევოლიუციონერებს. მაგრამ ეს მათი ახალი ლექსიკონი საკმაოდ ცნობილია საზოგადოებისათვის და ამის გამო არ არის ძნელი გამოსაცნობი თუ რა საგანზედ და რა ამბებზედ აქვთ მსჯელობა კომუნისტურ მწერლებს.

კომუნისტური პრესსა ხშირად ამჟღავნებს საკმაო ნათლად საქართველოს ეხლანდელი ბატონების სულისკვეთებას და ზრახვებს. ამის ცოდნა არ არის უსარგებლო ჩვენთვის, ხოლო მასში ხშირად ამოხეთქილი და გამჟღავნებული ცხოვრების სინამდვილის გაცნობა ჩვენთვის ძალზე საესარგებლოა. ყოველივე ამის გამო ჩვენ ყურადღებას ვათხოვებთ ამ პრესასა. ამ ჟამად ჩვენ „კომუნისტის" მხოლოდ რამოდენიმე ცალს გადავავლებთ თვალს და მკითხველი დაინახავს, რომ ეს უსარგებლო არ არის.

2. კ უ ლ ა კ ი

კომუნისტსა და კულაკს შორის დამოკიდებულება გართულდა კარგა ხანია და რაც დრო გადის ის უფრო და უფრო მწვავდება. ეს კულაკის ამბავი მუდმივი თავის სატეხი გახდა კომუნისტებისათვის. მათ ყირაზედ გადაატრიალეს უზარმაზარი რუსეთის ცხოვრება, ყოველივე დააქციეს, რომ შემდეგ თავის ჯკუაზედ აეშენებინათ. მართალია ეს აშენება მათ ვერ შესძლეს, მაგრამ დაქცევით ხომ მაინც დააქციეს, ხოლო ამ კულაკს ვერაფერი მოუხერხეს, ვერ მოსპეს და ვერც თავის მშვენიერ გეგმას დაუმორჩილეს. მათ თავისი სახელმწიფო დაანგრიეს, მთელი კავკასია და საქართველოც ზედ მიაყოლეს, დენიკინი მოსპეს, კოლჩაკი გაანადგურეს, ვრანგელი განდევნეს, ანტანტებს ებრძოლეს, ხოლო ამ კულაკს ვერაფერი მოუხერხეს. რა მდევ-გმირია ეს კულაკი, ვინ არის ის?

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს კულაკი მართლაც და ცხრათავიანი გველეშაპია, მაგრამ კომუნისტური პრესსიდან ვგებულობთ, რომ ეს ასე არ ყოფილა. ირკვევა, რომ ეს კულაკი ფარაჯაში გახვეული მშრომელი გლეხია, რომელიც გამუდმებით შრომობს და იმდენი საზრდო მოჰყავს რომ ოჯახსაც არჩენს, სახელმწიფოსაც უხდის აუარება ბეგარას და ჯირის დღისთვისაც გადანახული აქვს ლუკმა პური. მერე რად ჩამოვარდა ასეთი შუღლი და მტრობა კომუნისტებსა და კულაკებს შორის? სხვა კვეყნებში ამ კულაკებს არამც თუ არ ებრძვიან, არამედ ყოველმხრივ ხელსაც უწყობენ. იგივე კომუნისტური პრესსა გვიხსნის ამ ამოცანას. კომუნისტი კომუნისტია, ხოლო კულაკი „ჩასტნიკი", კერძო საკუთრების მომხრე. კომუნისტური პროგრამა, მისი მარქსიზმი და ლენინიზმი მოითხოვს, რომ ეს კერძო საკუთრება და წარმოება არ იყოს, ხოლო კულაკი მაინც თავის ჯკუაზედ მიდის. აქ იბადება მათ შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა. ამ დავით იყო აღვსილი რუსეთის კომუნისტური გამოცემები უკანასკნელ წელთა გასწვრივ. შემდეგ ქართულს კომუნისტურ პრესსაშიც შეიჭრა ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ ჟამად ყველა მისი გამოცემები გამუდმებით სწერენ ამ კულაკის საფრთხეზედ.

როგორ მოხდა ეს მაინც, რომ ყოვლად მძლეთა მძლე კომუნისტებმა ამ კულაკს ვერაფერი მოუხერხეს და ვერ დაიმორჩილეს? პირველს ხანებში ის კიდეც დაეჩოქეს, ქედი მოახრევინეს, გააკომუნისტეს, კერძო წარმოებაზედ უარი ათქმევინეს და „კოლხოზებში" შედენეს მაგრამ კულაკებმა ოინი გააკეთეს. პურის მოყვანა შეამცირეს და ეს კომუნისტებმა მალე იგრძნეს თავის კუჭზედ. ამათაც ხერხი იხმარეს თავის მხრივ—კულაკებს „სრედნიაკი" დაარქვეს და საქვეყნოდ გამოაცხადეს: ჩვენ კულაკები მოვსპეთ, ხოლო „სრედნიაკებს" არას უშავებთ და მთელი ჩვენი ლენინისტური პოლიტიკა მათ უნდა დაეყრდნოსო.

ყოველივე კარგად მიდიოდა, რომ თვით მათ ამხანაგს ტროცკის არ ჩაეშალა ეს საქმე. ამ ტროცკიმ საქვეყნოთ გასთქვა საიდუმლოება: ეს თქვენ ვის ატყვილებთ, მარქსსა და ლენინს რას ეტყვით საიქიოს, როდესაც მათი სახელით კულაკებს სრედნიაკები დაარქვით და იმათ დაუკავშირდითო. სად არის თქვენი—პროლეტარული დიქტატურა და ილიჩის დანაბარებიო? გაჯავრებულმა კომუნისტებმა ტროცკი სიმბირში გადაკარგეს, შემდეგ უცხოეთში განდევნეს და მისი მომხრეებიც ღირსეულად დასაჯეს, ხოლო საქმე ამითაც ვერ გამოასწორეს. კულაკების გასრედნიაკება საქვეყნოდ გამქღავნდა და მით მსოფლიო კომუნიზმის მომხიბლავი სახე შეიბღალა. კომუნისტები ისევ კულაკებს მოუბრუნდენ და მათზედ იყრიან ჯავრს. მაგრამ ამითაც არა გამოვიდა რა. ისევ ძველი ამბავი მეორდება: კულაკები პურს არ იძლევიან, ხოლო კომუნისტური კუჭი პურს მოითხოვს. ირკვევა, რომ კომუნისტური კუჭიც პურით იკვებება თა არა კომუნისტური პროკლამაციებით, როგორც ამას ბევრი ჰფიქრობდა წინეთ. ეს გარემოება მეტად საშიშ მდგომარეობაში აყენებს კომუნისტურ პარტიას. კომუნისტურ ენასა და იდეოლოგიას კომუნისტური კუჭი უდგება ოპოზიციაში და ეს ოპოზიცია დიდათ განსხვავდება ტროცკისტულ ოპოზიციიდან: არც ციხეში ჩამწყვდევა შეიძლეს მისი, არც გადასახლება. ერთად ერთი ვამოსავალია კომპრომისი და შერიგება. ეს არც არის ძნელი და ჩვენის შეხედულობით ეს ასე უნდა მოხდეს: სიტყვა კულაკი უნდა მოისპოს და ყველა კულაკები იძულებით უნდა იქნენ ჩარიცხული კომუნისტურ პარტიაში. ხოლო როცა ეს მოხდება და კულაკები გაკომუნისტდებიან, მაშინ არ იქნება ანტიკომუნისტური აქტი, როგორც არ არის ანტიკომუნისტური როდესაც ეხლა კომუნისტები ქონებას იძენენ და საკუთრებას აგროვებენ. ეხლა ეს კომუნისტები იძენენ ქონებას კომუნიზმის გამარჯვების მიზნით. ამავე ანგარიშში ჩაიწერება გაკომუნისტებულ კულაკების მიერ ქონების შეძენა. ამ გზით კომუნისტური კუჭიც იქნება დაკმაყოფილებული და ლენინისტური იდეოლოგიაც, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, კომუნისტური ნამუსიც დაცული იქნება და ბურჟუაზიული კაპიტალიც შეძენილი.

3. პურის ბარათები

სანამ კომუნისტები არ მოახდენენ ასეთ რევოლუციას, მსოფლიო რევოლუციის ანგარიშში, მანამდე ეს პურის საკითხი მეტად მწვავედ დგას და ასევე დარჩება.

ამ უკანასკნელ წლებში ეს პურის დამზადება ილევს მთელს მათს ენერგიასა და კომუნისტურ შემოქმედებას. პურის დამზადებაზედ სწერენ აუარებელ წერილებსა და სცემენ უთვალავ დეკრეტებს. „პურის თესვის კომპანიას" აწარმოებენ მუდამ: ზამთარში, გაზაფხულზედ, ზაფხულსა და შემოდგომაზედ. ისინი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე სოფლებში პურსაც აგროვებენ იძულებით, სათესლე ხორბალსაც არიგებენ და კიდეც ურიგებენ ამ ხორბალს სიმშილობის გამო. მაგრამ საქმე ამით არ თავდება და ეს პური გემებით გააქვთ უცხოეთში გასასყიდათ და იმავე დროს უცხოეთიდანაც მოაქვთ გემებით იქ ნაყიდი ხორბალი: ამ პურით დამშეული რაიონები უნდა გამოვკვებოთო. ეს ბევრს ეუცხოვება, მაგრამ გასაკვირველი აქ არაფერია. საბჭოთა კონსტიტუციაში საპატიო ადგილი უკავია „პურის კომპანიას" და ამ საქმისათვის მრავალი ათასი მოხელეა დაქირავებული, და გასაგებია რომ საჭირო ხდება ამ ხორბლის იქით-აქეთ ზიდვა და მისი დაუსრულებელი შეკრება-დარიგება, ყოდვა-გაყიდვა, გაზიდვა-შემოზიდვა.

პურ-კომპანიის უმთავრეს საგანს მაინც ეს თესვისა და პურის მოწევის საქმე არ წარმოადგენს. არც ხერხდება ჯერ-ჯერობით ამ საქმეების წესიერად მოგვარება, რადგან იქ ხშირად იჭრება არა კომუნისტური ნაკადი კულაკებისა და სხვა ასეთი მოვლენების სახით. პურ-კომპანიის გვირგვინსა და მის მშვენებას წარმოადგენს პურის განაწილება და დარიგება. აქ ას პროცენტიანი კომუნიზმია მიღწეული და ადგილი არ აქვს სხვა და სხვა ბურჟუაზიულ უკლონებს. ამიტომ ინსტრუქციები ამის შესახებ დიდი ასოებით იბეჭდება გაზეთებში და ხშირ-ხშირადაც იბეჭდება, რომ კომუნიზმისათვის მებრძოლ რაზმებს სიმხნევე შემატოს და გაუძვიოს რწმენა და იმედი, რომ კომუნისტური ბედნიერების დამყარება მთელს მსოფლიოში ნღაპრულის სისწრაფით მიმდინარეობს. პურის განაწილების წიგნაკებიც ხშირ-ხშირად იცვლება, რათა ყველამ დაინახოს რომ კომუნიზმი იპყრობს სულ ახალ და ახალ პოზიციებს.

საბჭოთა რუსეთის გაზეთებიდან ჩვენ ვიცოდით, რომ იქ ეს საქმე მტკიცედ არის დაფუძნებული. ბევრი ჰფიქრობდა, რომ საქართველო ჩამორჩენილი იყო ამ მხრივ და იქ პურს ხალხი უბარათებოდ შოულობდა, რამდენიც მას მოესურვებოდა, როგორც ეს იყო ძველად, ჩვენი ჩამორჩენილობის ხანაში და ეხლაც არის „გახრწნილ" ბურჟუაზიული ქვეყნებში. ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ ასეთი იჭვები უადგილო ყოფილა და საქართველოსაც მიუღწევია კომუნისტური ბედნიერების ამ საფეხურამდე. ჩვენ ვგებულობთ, რომ საქართველოში ეს ბედნიერება გასული წლის ოქტომ-

ბრიდან დამყარებულა, ხოლო ეხლა მუშაობაა იმის შესახებ, რომ ამ წლის ენკენისთვიდან ძველი წიგნაკები ახალზედ იქმნეს შეცვლილი ინსტრუქცია გვიხსნის რომ ეს წიგნაკები სამ ლიტერად იქნებიან დაყოფილი: „წიგნაკები ლიტერით „ა“ მიეცემა ფაბრიკა-ქარხნების, რკინის-გზების, წყლის, ტრანსპორტის და სხ. ფიზიკური დარგის მუშებს. ლიტერით „ბ“ მიეცემა ამ პირთა ოჯახების წევრებს, ყველა მოსამსახურეს, სადაც არ უნდა მსახურობდენ, ...და დანარჩენ მშრომელ მოსახლეობას. ლიტერით „გ“ მიეცემათ ამ მუხლებში ჩამოთვლილ ბავშვებს 8 წლის ჰასაკამდე“. ამის მეტი ლიტერები აღარ არის და, რასაკვირველია, წიგნაკები არ მიეცემათ და მაშასადამე პურიც, ვინც კომუნისტების დასკვნით არ შეადგენს მუშებს, მოსამსახურეებს და „მშრომელ მოსახლეობას“. ამ რიგად, ვინც კომუნისტებს მიჩნეული ყავთ თავის „კლასიურ მტრებად“, არა მშრომელ წრეებათ, პური არ მიეცემათ. მკითხველი იტყვის—პური არ მიეცემათ კომუნისტურ კოოპერატივებიდან, მაგრამ ვითონ რომ შეუძლიანთ შეიძინონ. რასაკვირველია, ზოგი ამას მოახერხებს, მაგრამ თუ „ჩავარდა“ მკაცრი სასჯელი მოელის. გაზეთები აღვსილია ასეთი პირების სიებით. კერძო გზით ლუკმა პურის შოვნა „ჩასტნიკობაა“, სპეკულიაცია და კონტრ-რევოლიუცია და აბა კომუნისტური მთავრობა მას როგორ დაზოგავს? ასეთია სოციალისტური სამოთხის წესები, ძმობა, ერთობა და სიყვარული...

ქართულს ემიგრაციაში

ქართული ლექციები

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პარიზის ორგანიზაცია აწყობს ლექციებსა და მოხსენებებს ყოველკვირეულად, პარასკეობით. პოლიტიკური ხასიათის მოხსენებები კეთდება პარტიის წევრთა კრებაზედ, ხოლო საზოგადო ხასიათის ლექციებზედ დასწრების უფლება არ არის შეზღუდული. საზოგადოება დიდს ყურადღებას იჩენს ამ საქმისადმი და ლექციებზედ დამსწრეთა რიცხვი საგრძნობლივ მატულობს. ამ ხნის განმავლობაში ბ-ნმა შალვა ამირეჯიბმა წაიკითხა ხუთი ლექცია ქართულს ლიტერატურაზედ, რაც წარმოადგენს მე-18 და მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ფრიად საფუძვლიანად დამუშავებულ სისტემატიური კურსის პირველ ნახევარს. შ. ბერიძემ წაიკითხა თავისი საყურადღებო გამოკვლევა: ფრანგი მოგზაურები საქართველოში და შემდეგ ორი მოხსენება: გუსტავ ლებონის ცხოვრება და აზროვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაწყებულმა საქმემ ზედმეტად გამოაშკარავა ქართული ემიგრაციის საშინელი მდგომარეობა სწავლა-განათლების მხრივ და მისი წყურვილი მისდამი. ქართულს ემიგრაციას უნდა ჰქონდეს ქართული სკოლა, სამკითხველო და სახალხო უნივერსიტეტიც. ყოველივე ამის დაფუძნება მას შეეძლო, რომ მეტი თვითმოქმედება გამოეჩინა და სხვების იმედი არ ჰქონოდა. ცხრა წელიწადი გადის ასეთს მოლოდინებში და დროა ამიერიდან მაინც შეუდგეთ ამის შესახებ ზრუნვას საერთო ძალითა და საშუალებით. ემიგრაციის ბავშვები დედა-ენას ვერ სწავლობენ. ჩვენი სტუდენტობა უმაღლეს განათლებას ვერ ღებულობს. ეს მაინც უნდა მიხერხდეს, რომ ახალგაზდობამ მაინც რამ ცოდნა მაინც მიიღოს, რომ სავსებით ხელცარიელი არ დაბრუნდეს საქართველოში. როგორც გვესმის სახალხო უნივერსიტეტის დაფუძნების შესახებ მუშაობა უკვე დაწყებულა და სასურველია, რომ ის ხორცშესხმულ იქმნას რაც შეიძლება მალე.

ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნი

გამომცემლობა „საქართველო"-ს სტამბაში აიწყო და ამ უახლოეს ხანში გამოიცემა ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნი—«ჯ ვ ა რ ო ს ა ნ თ ა დ რ ო ი დ ა ნ»—ოთხი საისტორიო ნარკვევი.

«მ ხ ე დ ა რ ი»

გამომცემლობა „საქართველო"-ს სტამბაში იწყობა და ამ თვის მეორე ნახევარში გამოვა ქართველ იუნკერთა კავშირის ორგანო «მხედარი»-ს 2 N.

ჟურნალ „სამშობლო"-სა და გამომცემლობა „ს ქართველო"-ს სხვა გამოცემების შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებისაგან და აგრეთვე პ ა რ ი ზ ში—9, rue Dupuytren (მეტრო Odeon) წიგნის მაღაზიაში და 69, rue Fondary, რესტორან „თბილისში" ო დ ე ნ კ უ რ ში.—28, Grande rue, Librairie Moderne (აბანოს გვერდით). ვ ა ლ ა ნ ტ ი ნ ი ე ში—„Petit Parisien"-ს ჟურნალთა სავაჭროში, rue du Pont.

სარედაქციო კოლეგია.

Audincourt, - Imp. Zindy-Peter